ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს

№82 (1592) 16-19 აგვისტო, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## შევარდნაძე ახალ კაპიტულაციას ამზადებს

სამშაბათს, 12 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიით გადმოიცა ქართველი ჟურნალისტების პირველი ინტერვიუ არძინბასთან, რომელიც ჩატარდა მის რეზიდენციაში სოხუმში. 30 ათასი კაცის მკვლელმა, რომელზედაც საქართველოს პროკურატურას ჯერაც არა აქვს გაცემული სანქცია, როგორც ადამიანობის წინააღმდეგ მასობრივი დანაშაულის ჩამდენსა და ორგანიზატორზე, საათნახევრის მანძილზე ადვილად აბურთავა ორი საგანგებოდ შერჩეული სუსტი ჟურნალისტი, რომელთაც პოლიტიკური და სამართლებრივი არგუმენტაციის ანბანი ან არ იცოდნენ, ან უგულებელყვეს. ეთნიკური წმენდის ავტორის არგუმენტს „ქართველები აფხაზეთში ცხოვრობდნენ და აფხაზეთის წინააღმდეგ იარაღი აღმართეს. მაშასადამე, მათ აფხაზეთში აღარ უნდა იცხოვრონო", ქართველმა ჟურნალისტებმა ვერ მიაყოლეს კითხვა: „მაშ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ქართველები თავის ქვეყანაში კი არ ცხოვრობდნენ, არამედ სხვისაში? და თქვენ მიგაჩნიათ, რომ მათი მოვალეობა არ იყო ქართველი მოსახლეობის დაცვა მასობრივი ჟლეტისაგან ფორმიანი და უფორმო შეიარაღებული შენაერთების მხრიდან, რომელიც 1992 წლის 3 ოქტომბერს გაგრიდან დაიწყო?"; არძინბას განცხადებას „საქართველოს და აფხაზეთის ურთიერთობა 1925 წლის კონსტიტუციით იწყებაო", მათ არ მიაყოლეს კითხვა, ჰქონდა თუ არა რაიმე ურთიერთობა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიას და დანარჩენი საქართველოს ტერიტორიას 1925 წლამდე; არძინბას სიტყვებმა, „წარმოიდგინეთ, რომ საქართველოში შემოსახლდა 10 მილიონი ჩინელი და თქვენ ეროვნულ უმცირესობად გაქციათ. იგივე იყო ჩვენი მდგომარეობა აფხაზეთში ქართველების დასახლების წყალობით" არ გამოიწვია მათი შენიშვნა, რომ ჩინელები საქართველოსთვის უცხო ხალხია, ქართველები კი ის ხალხია, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე უპირველესად

4

## ხელისუფლება ისეა დაჩოქილი და შეშინებული, ხონჩით რომ მიართვა აფხაზეთი, ხელის შეხებას ვერ გაბედავს

თვითმფრინავის ტრაპზე ევგენი პრიმაკოვმა ჯვრის კიკოსავით წინ გამოიგდო არძინბა. ტრაპის ბოლოს მაინც გადაეფარა მცირე ხნით და გალიმებული „ტარიგი" მომღიმარე მასპინძლებს ჩააბარა. თუმცა, პრიმაკოვის მონღოლურ თვალთა ჭრილში ზუსტად ვერ დაიჭერდი, ვის თვლიდა შენაწირად, ჩამოსულს თუ დამხვდურთ. ღია ტექსტით კი ერთი სურვილი ჰქონდა, რუსეთის დამღლელად უმოქმედო ქმედებანი გაებათილებინა და ისე წარმოეჩინა, თითქოს პრეზიდენტ ელცინს და მის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთი სული აქვთ, აფხაზეთში მშვიდობა დამყარდესო და ამისათვის დღე-ღამეს ასწორებენ.

იდგა 1997 წლის 14 აგვისტო. ხუთი წლის წინ კი სწორედ რუსეთის ორმხრივი სამხედრო დახმარებით დაიხოცა 7000-მდე ქართველი და 5000-მდე ვითომ აფხაზთა გულშემატკივარი „ბოევიკი". მაშინ მოსკოვში იდგნენ და „დურაჩკას" თამაშობდნენ: აბა, ერთ მხარეს ამდენი ტანკი – იქეთ ამდენი „სუ" თვითმფრინავი და ასე შემდეგ. „დურაჩკა" კი იყო, მაგრამ აქაც არავინ აღმოჩენილა „პრეფერანსის" მოთამაშე, რომ საქმე სხვა ხარისხში გადაეყვანა.

ახლაც, გულსაკლავი ის იყო, რომ არძინბას ჩამოსვლა თბილისში ბევრმა მშვიდობის მაუწყებლად აღიქვა: „იქნებ რამე გვეშველოსო" – ასეთი იყო ზოგიერთის პირველი რეაქცია.

იმის მაგიერად, რომ გენოციდის მომწყობი სეპარატისტი, რომელზეც საქართველოს პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ორთაჭალის მე-5 იზოლატორში მიებრძანებინათ, ისევ ორთაჭალის ბაღებისაკენ გააქანეს დახურული მანქანით და საქართველოს პრეზიდენტს ჩააბუტეს. მასაც, ალბათ, სულ დაავიწყდა ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები. იქნებ, ჯონ შალიკაშვილიც აღარ გაახსენდა.

საინტერესოა, რა სტატუსით მიიღო იგი პრეზიდენტმა? ან კრწანისში ასვლამდე პარლამენტის პირველი პირის კაბინეტში როგორი სტატუსით იყო შესული? თუ რასაც თავის თავს ანიჭებს, ისეთად მიიღეს, მაშინ ნადარეიშვილი-ერქვანია ვინღა არიან, ან აფხაზეთის საპარლამენტო ფრაქცია თავისი მუდმივი წევრებით რისი მაქნისია? ჩამოეიყვანოთ აჩბა, ჩაჩბა, შამბა, ჯერგენია და ცოტა გადავახალისოთ პარლამენტი.

„მეოთხე ხელისუფლებას" რომ დაცინვით გვეძახიან, იმ დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ჯერ აეროპორტში მხოლოდ „ასოშეიტედ პრესი", НТВ და საქართველოს I არხი დაუშვეს ტრაპთან. კრწანისში კი სპეც.სიაში ჩაწერილი მასმედიის წარმომადგენლები ერთ-ერთ აგარაკზე შეყარეს და საღამომდე არც ქალაქში გამოუშვეს და აღარც შევარდნაძე-არძინბას საუბარს დაასწრეს. თუმცა, როგორც დაკვირვებულმა თვალმა შენიშნა, არძინბა გულმოცემული ხმამაღლა ლაპარაკობდა (ჰქონდა კიდეც

2

## „მშვიდობიანი მოლაპარაკებები აფხაზეთის დაკარგვას გამოიწვევს"



აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი თვლის, რომ ედუარდ შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას მიერ გუშინ ხელმოწერილი განცხადება „მხოლოდ პოზიციების დაფიქსირებაა საქართველოს მხრიდან". „მშვიდობიანი პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით ჩვენ ვკარგავთ აფხაზეთს", – თქვა ნადარეიშვილმა.

„განცხადებაში არაფერია თქმული არც დევნილების დაბრუნებაზე, არც საქართველოს იურისდიქციის აღდგენაზე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამიტომ, მიღებული განცხადება არაფერს არ მოწმობს", – აღნიშნა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ.

მისი აზრით, „აფხაზეთის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ძალისმიერი გზით". (პრაიმ-ნიუსი)

## «მიღებულმა დოკუმენტმა შეიძლება დააკმაყოფილოს მხოლოდ არძინბა»



„მიღებულმა დოკუმენტმა შეიძლება დააკმაყოფილოს მხოლოდ ვლადისლავ არძინბა, როგორც რუსეთის მხარის ინტერესების გამტარებელი", – უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის" ლიდერმა, გერმანე ფაცაციამ, ქართული და აფხაზური მხარის მიერ თბილისში გუშინ ხელმოწერილ განცხადებასთან დაკავშირებით.

ფაცაციას თქმით, „თუ ამ განცხადებას შეუძლია დააკმაყოფილოს ედუარდ შევარდნაძე, ესე იგი, ის არ წარმოადგენს ქართულ მხარეს".

ფაცაციამ აღნიშნა, რომ „არ შეიძლებოდა განცხადების ხელმოწერა თანაბარ პირობებზე, რადგან ამით საქართველომ სცნო აფხაზეთი იურიდიულ სუბიექტად და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. სამწუხაროდ, საქართველოში, როგორც წესი, ყველაფერს წყვეტს ერთი ადამიანი – ედუარდ შევარდნაძე".

„დამცირებულად ვთვლი თავს არძინბას თბილისში ჩამოსვლის გამო და ასევე გრძნობს თავს აბსოლუტურად ყველა დევნილი", – თქვა ფაცაციამ. (პრაიმ-ნიუსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „მზადდება ნიადაგი იმისთვის, რომ საქართველომ პირველმა აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა“

„14 აგვისტოს თბილისს გამარჯვებული არძინბა ესტუმრა. მზადდება საფუძველი იმისათვის, რომ საქართველომ პირველმა აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს ვლადისლავ არძინბას თბილისში ვიზიტთან დაკავშირებით აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გია გვაზავამ.

„რუსეთის მოქმედების გეგმა მარტივი და ნათელია – დევნილების რაც შეიძლება ნაკლები პროცენტი დაბრუნდეს აფხაზეთში. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ დევნილები დაბრუნდებიან აფხაზეთის გალის რაიონში, ხოლო დანარჩენ რაიონებში, თვალის ასახვევად, მხოლოდ რამდენიმე ათას დევნილს დააბრუნებენ“, – თქვა გვაზავამ.

ედუარდ შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას მოლაპარაკებების დროს, აფხაზეთის დევნილი მთავრობის არც ერთ წარმომადგენელს მონაწილეობა არ მიუღია.

გია გვაზავას თქმით, „მისაღებია ყველა გზა, რომელიც სახლში დაგვაბრუნებს, თუმცა, აქსიომაა ის, რომ ომით დაკარგულს ქაღალდით ვერ დაიბრუნებ“. (პრაიმ-ნიუსი)

## აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი ჯერ არ განხილულა

ედუარდ შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას ამჟამინდელ მოლაპარაკებებზე არ განუხილავთ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი – უთხრა – პრაიმ-ნიუსს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ირაკლი მენაღარიშვილმა, 14–15 აგვისტოს თბილისში საქართველოსა და აფხაზთა ლიდერის შეხვედრის კომენტირებისას.

მენაღარიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ქართული და აფხაზური მხარეები პოლიტიკური საკითხების განხილვას შეუდგებიან მას შემდეგ, როცა შეხების წერტილებს გამონახავენ ეკონომიკური ხასიათის საკითხებში.

მომავალ კვირას თბილისსა და სოხუმს შორის ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემებს განიხილავენ სოხუმში ორი მხარის წარმომადგენლები.

როგორც მენაღარიშვილმა განუცხადა პრაიმ-ნიუსს, ჯერ არ არის განსაზღვრული ედუარდ შევარდნაძის, ბორის ელცინის და ვლადისლავ არძინბას შეხვედრის კონკრეტული თარიღი. (პრაიმ-ნიუსი)

## «პრიმაკოვს პასიური როლი ეკავა»

„კონკრეტულ საკითხებზე შედეგისთვის არ მიუღწევიათ და არც ელოდნენ ვლადისლავ არძინბას ვიზიტისგან საქართველოში“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში, ვაჟა ლორთქიფანიძემ. მისი თქმით, მნიშვნელოვანია ის, რომ თბილისში ორი მხარის შეხვედრა შედგა შუამავლების გარეშე, რადგან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ევგენი პრიმაკოვს ამ მოლაპარაკებებში „პასიური როლი ეკავა“.

„ჩვენ განვაგრძობთ მოლაპარაკებებს აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით და საკუთარ პოზიციას დავიცავთ მანამ, ვიდრე პროტოკოლში აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ, რომელიც ახლა დამუშავების პროცესშია, მკაფიოდ არ დაფიქსირდება აფხაზეთი, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი“, – თქვა ლორთქიფანიძემ.

მისი თქმით, მოლაპარაკებებზე „ძალზედ დეტალურად“ განიხილებოდა დევნილთა დაბრუნების საკითხი, და მხარეები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში განიხილავენ სწორედ ამ საკითხს.

კრწანისის რეზიდენციაში პრიმაკოვი არ შეხებია რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების მოსკოვში დაგეგმილი შეხვედრის დეტალებს, – თქვა ლორთქიფანიძემ.

მისი თქმით, „ვიდრე ბოლომდე არ მომზადდება და არ შეთანხმდება პროტოკოლი კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრას აზრი არა აქვს“. (პრაიმ-ნიუსი)

## ხელისუფლება ისეა დაჩოქილი და შეშინებული, ხონჩით რომ მიართვა აფხაზეთი, ხელის შეხებას ვერ გაბედავს

პირველი გვერდიდან

რიხის საბაბი – თავისი ჭკუით, უზარმაზარი იმპერია იდგა მის უკან), ხოლო შევარდნაძე ისე იყო დაფიქრებულ-დაშაქრებული, თუ ოპტიმისტი შეხედავდა მათ დუეტს, შევარდნაძე-იოსელიანის გადაჯაჭვული მეგობრობა გაახსენდებოდა.

მასმედია რა მოსატანია, როდესაც ყოველი ბუჩქის ქვეშ და ყოველ ნაბიჯში მჯდომარე, მდგომარე და მოსეირნე, კბილებამდე შეიარაღებულმა დაცვამ დეპუტატის უფლება შელახა და მოლაპარაკებას არ გააკარა გია გვაზავა. არძინბას ჩამოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ თამაზ ნადარეიშვილი კაბინეტში რამდენიმე ერთგულ კაცთან ერთად განმარტოვდა და არავის არ იღებდა. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა თემურ მჟავიამ კითხვაზე, თუ რას აპირებდნენ, ალალად გვიპასუხა: – პრეზიდენტი წყვეტს ამას. პროტესტის გამოხატვას არავინ აპირებს, ფაქტის წინაშე ვდგავართ.

*– როდესაც შიმშილობის აქცია იყო და მიტინგები, მაშინ რატომ არ უჯერებდით პრეზიდენტს?*

– ჩვენთან ალოგიკური რაღაცეები ხდება. არის აზრი, რომ მისი აქ ჩამოყვანა გარკვეული გამარჯვებაა.

*– გჯერათ?*

– არ ვფლობ ჯერ ინფორმაციას.

დაახლოებით ასეთ დაბნეულ პასუხებს ვიღებდი სხვებისგანაც, ზოგმა კი სულ არ იცოდა მტრის სტუმრობის შესახებ.

4 საათისთვის აფხაზეთის კომისია პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან, ვახტანგ ყოლბაიასთან შეიკრიბა. სხდომის შემდეგ ისინი შედარებით დაკვალიანდნენ: საშა ჯიქია: – „გაყიდულები ვართ, თუ ვინმეს იმედი აქვს, რუსეთი რამეს მოგვცემს, სულელია. ჩვენი ხელისუფლებაც ისეა დაჩოქილი და შეშინებული, ხონჩით რომ მიართვა აფხაზეთი, ხელის შეხებას ვერ გაბედავს“.

რაც შეეხება ვახტანგ ყოლბაიას, ანზორ წოწონავას, გია გვაზავას, აფხაზეთის პროკურორ ანზორ ლაცუზბაიას, მათ თქვეს, რომ შეურაცხყოფილები არიან. ბ-ნ ანზორ ლაცუზბაიას ვკითხე, რამდენადაა გამართლებული სისხლის სამართლის დამნაშავის პრეზიდენტთან შეხვედრა. მან მიპასუხა, რომ „თუ პრეზიდენტის მოწვევით არის არძინბა ჩამოსული, მე კომენტირებისაგან თავს ვიკავებ“. რას იზამ, თავის შეკავება კარგია, მაგრამ როდესაც გაკვირვებულმა ვკითხე დეპუტატებს, პროტესტს რატომ არ აპირებთ-მეთქი, მათ გაცვეთილ ფრაზას, „დესტაბილიზაციის საშიშროებას“ მიმართეს. დესტაბილიზაცია და საპროტესტო პიკეტი რომ ერთი და იგივე არაა, ეტყობა, არ იციან. ბოლოს და ბოლოს, თვით პრეზიდენტის პრესტიჟის საქმე იყო, 3–4 ლტოლვილს პარლამენტის წინ დაწერილი ქაღალდი გაეშალა: „არძინბა, საქართველოდან წაეთრიე“. იმ დღეს რამდენიმე სხვადასხვა ჩინის პოლიციელს და შსს მაღალჩინოსანს ვკითხე, ხომ არ ეშინოდათ ლტოლვილებისაგან რაიმე ექსცესის. მაღალჩინოსანს სიცილი აუტყდა, ხოლო სხვებმა უფრო მკვახე-მკვახე სიტყვები ირჩიეს.

საიდან მოდის ეს ჭირად მოდებული სულიერი იმპოტენცია, რომლის მოწმენი 14–15 აგვისტოს გავხდით, თითქოს არცაა საიდუმლო, მაგრამ სადაა საშველი?

**მანანა იაშვილი**



## ყველა ჩვენ გვაბრიყვებს?

*სამხრეთ ოსეთის ლიდერმა მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს, გამართონ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ანალოგიური მოლაპარაკებები*

„ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა ვლადისლავ არძინბასთან, შესაძლოა გახდეს არა მარტო პირველი ნაბიჯი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტისაკენ, არამედ, გარკვეულწილად, ის შეიძლება დადებითად აისახოს კავკასიის სხვა კონფლიქტების, კერძოდ, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებაზე“, – განაცხადა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა, ლუდვიგ ჩიბიროვმა საქართველოს პრეზიდენტისა და ვლადისლავ არძინბას 14–15 აგვისტოს თბილისში გამართულ შეხვედრასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, ახლოვდება ვლადიკავკაზში, გასული წლის 27 აგვისტოს, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ლიდერებს შორის გამართული პირველი პირდაპირი მოლაპარაკებების წლისთავი და „მწიფდება“ ახალი შეხვედრა უმაღლეს დონეზე.

„ასეთი შეხვედრები ყოველთვის სასარგებლოა და იმპულსს აძლევს მოლაპარაკებების პროცესს“, – აღნიშნა ჩიბიროვმა.

სამხრეთ ოსეთისთვის მეტად მტკივნეულია სახალხო მეურნეობის აღდგენის საკითხი, რომელიც 89–92 წლების ომის შედეგად დანგრა. მიმდინარე წელს ცხინვალს ჯერ კიდევ არ მიუღია საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ სწორედ ამ მიზნებისთვის შეპირებული ერთი მილიონი ლარი.

როგორც ცხინვალში თვლიან, ეკონომიკურ საკითხებში თანამშრომლობას შეუძლია „მხარეების მიყვანა სამხრეთ ოსეთის მომავალი სტატუსის საკითხის გადაწყვეტამდე. შესაძლოა, სექტემბრის პირველ დეკადაში; ეუთოსა და რუსეთის შუამავლობით, მხარეებმა ჩაატარონ შერეული საკონტროლო კომისიის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი.

ჩიბიროვის თქმით, რუსეთს „უპირველესი“ როლი ენიჭება სტაბილიზაციის პროცესებში კავკასიაში. „არ ვამცირებ საერთაშორისო ინსტიტუტების წვლილს რეგიონალური პრობლემების მოწესრიგების საქმეში, მაგრამ მინდა შევნიშნო, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ევგენი პრიმაკოვის დანიშვნის შემდეგ მოსკოვის დიპლომატია გახდა გაცილებით შედეგიანი“, – თქვა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა.

**მიხეილ ვიგნანსკი. „სეგოდნია“ – საგანგებოდ პრაიმ-ნიუსისთვის**

## აფხაზეთში ელიან საქართველოს სამთავრობო დელეგაციას

„ყველაზე მთავარია – უარი ვთქვათ კონფრონტაციაზე“, – უთხრა ჟურნალისტებს არძინბას მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ქართულ-აფხაზური მხარეების შეხვედრის შესახებ გუშინ ხელმოწერილი განცხადების კომენტირებისას, რომელშიც მხარეებმა აიღეს ვალდებულება, პოლიტიკური გზით გადაწყვიტონ ყველა პრობლემა.

შამბას თქმით, მხარეებს შეუძლიათ მიუახლოვდნენ პოლიტიკურ საკითხებს, თუ ერთობლივად გადაწყვეტენ ეკონომიკურ პრობლემებს. აფხაზთა საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, ამასთან დაკავშირებით, უკვე მომავალი კვირის ოთხშაბათს სოხუმში ელიან საქართველოს სამთავრობო დელეგაციას, სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით.

განიხილავენ ენერგეტიკასთან, კავშირგაბმულობასთან, ტრანსპორტთან დაკავშირებულ საკითხებს. შამბამ არ გამორიცხა პირდაპირი სატელეფონო კავშირის აღდგენა თბილისსა და სოხუმს შორის.

ამავე დროს, აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ედუარდ შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას მოლაპარაკებების დროს ვერ მიაღწიეს შეთანხმებას აფხაზეთში დევნილების დაბრუნების დაწყების კონკრეტული ვადების შესახებ, რადგან „მრავალი საკითხია ჯერ შესათანხმებელი“. (პრაიმ-ნიუსი)

## განცხადება შევარდნაძე-არძინბას შეხვედრასთან დაკავშირებით

14 აგვისტოს თბილისში მიიღეს განცხადება ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრასთან დაკავშირებით.

„მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, – ნათქვამია დოკუმენტში, – რომ აფხაზეთის დელეგაციის ჩამოსვლა არძინბას მეთაურობით და მისი მოლაპარაკებები საქართველოს დელეგაციასთან, შევარდნაძის მეთაურობით და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი პრიმაკოვის მონაწილეობით, უცილობლად მისცემს დადებით იმპულსებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგების პროცესს“.

შეხვედრის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს რუსეთის სამშვიდობო მისიით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებაში და განაცხადეს, რომ „მზად არიან დაასრულონ მათი გამყოფი კონფლიქტი და აღადგინონ მშვიდობიანი თანაცხოვრება და ურთიერთგაგება“.

მხარეებმა მიიღეს ვალდებულება, არ მიმართონ იარაღს მათი უთანხმოებების გადასაწყვეტად და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან სისხლისღვრის განახლება. „ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით, მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით, როგორც ორმხრივ საფუძველზე, ასევე რუსეთის ფედერაციის დახმარებითა და შუამავლობით, გაეროს ეგიდით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა და დსთ-ის მონაწილეობით“.

განცხადებაში, რომელსაც ქართული მხარის სახელით ხელი მოაწერა ედუარდ შევარდნაძემ, ხოლო აფხაზთა მხრიდან – ვლადისლავ არძინბამ, აღნიშნულია, რომ მიღწეულია შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში. ამავე დროს, „ზოგიერთ საკითხებში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი აზრთა სხვაობა“.

ედუარდ შევარდნაძემ, ვლადისლავ არძინბამ და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი პრიმაკოვმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ თბილისის 14–15 აგვისტოს მოლაპარაკებები მნიშვნელოვანი ნაბიჯია აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გზაზე. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, „დაძლეულია ურთულესი ფსიქოლოგიური ბარიერი, დიდი ნაბიჯი გადაიდგა ურთიერთნდობის განმტკიცების გზაზე, რის გარეშეც წარმოუდგენელია კონფლიქტის მოწესრიგება“.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ხელმოწერილი დოკუმენტი ეტაპობრივია და საფუძვლად უნდა იქცეს შერიგების გზაზე.

ვლადისლავ არძინბას თქმით, „პრობლემები განიხილებოდა კონსტრუქციულ პირობებში და შეხვედრა განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა“.

სოხუმის ლიდერმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მის საუბარს შევარდნაძესთან პირისპირ. ამან ხელი უნდა შეუწყოს ნდობის აღდგენას „ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის“, – დასძინა მან. საქართველოს და სოხუმის ლიდერებმა მადლობა გადაუხადეს შუამავლობისთვის ევგენი პრიმაკოვს, რომელმაც, თავის მხრივ, განაცხადა, რომ „რუსეთი დაინტერესებულია სტაბილურობაში და განაგრძობს მუშაობას სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ფორმულის ძებნაზე“.

რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ხელმოწერილი განცხადება გახდა პირველი დოკუმენტი, რომელსაც ორმა მხარემ შუამავლების გარეშე მოაწერა ხელი.

*რედაქციისაგან: არძინბას განცხადებიდან ფრაზა: ნდობის განმტკიცება „ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის“, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების სურვილს ეჭვქვეშ აყენებს.*

*თუ საქართველო შეურიგდება იმას, რომ აფხაზეთი და საქართველო სხვადასხვა ქვეყნებია, მაშინ რაღაზეა საუბარი*

*ხოლო თუ არძინბა აფხაზეთს თბილისში გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში სხვა ქვეყნად აფიქსირებს, მაშინ რაში გამოიხატება მისი კომპრომისი და რაზე მოილაპარაკეს მხარეებმა?.*

## სცენაზე ახალი პერსონაჟი შემოდის

ედპ-ს ლიდერმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ, გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე, ბოლო ჟამს მის მიერ დასახელებულ ფირმა „ომეგას"-ს არალეგალური საქმიანობის მთავარ მოქმედ პირთა გალერეაში ახალი პერსონაჟი – საქართველოს პრეზიდენტის ძმისშვილი ნუგზარ შევარდნაძე დაასახელა. მართალია, იმ სატელეფონო მოსმენებსა და ედპ-ს ლიდერის მიერ პრეზიდენტისადმი გადაცემულ აუდიო-ვიდეო მასალებში სახელობით არ არის მითითებული ნუგზარ შევარდნაძე, მაგრამ, როგორც ი.სარიშვილი-ჭანტურიამ თვლის, სატელეფონო საუბრებში ნაცვალსახელით მოხსენიებულ პირს განსაკუთრებით უფრთხილდებიან ყველა დანარჩენი მინისტრებისა და მაღალი თანამდებობის პირთა დასახელების ფონზე. როგორც პრეს-კონფერენციაზე გაირკვა, ი.სარიშვილი-ჭანტურიას ვარაუდით და გარკვეული მონაცემებით, ის „მოფერებული" ნაცვალსახელი სწორედ ნ.შევარდნაძეა.

აღნიშნულ საქმეში მონაწილეობაში დღეს პირველად გაიჟღერა უშიშროების მინისტრის მოადგილის ა.იოსელიანის გვარმა. ითქვა, რომ სწორედ ამან გამოიწვია უშიშროების ყოფილი მინისტრის შ.კვირაიასა და ა.იოსელიანის დაპირისპირება. ი.სარიშვილი-ჭანტურიას გათვლით, ფირმა „ომეგა"-ს სიგარეტის კონტრაბანდამ ბიუჯეტს 20-დან 30 მლნ. ლარამდე დააკარგვინა. (იფრინდა)

## სარიშვილს ნუგზარ შევარდნაძის წინააღმდეგ ბრძოლაში ედუარდ შევარდნაძის იმედი აქვს...

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ი.სარიშვილი-ჭანტურია მზად არის წარსდგეს სასამართლო პროცესზე, რომელიც მისი „ცილისმწამებლური" ბრალდებების გამო შს მინისტრმა კ.თარგამაძემ აღძრა. იგი ამზადებს ციფრობრივ მონაცემებს და თვლის, რომ კ.თარგამაძის ესოდენ რიხიანი განცხადებები იმითაც არის განპირობებული, რომ შს მინისტრს ამ საქმეში ნუგზარ შევარდნაძის იმედი აქვს.

თავად ი.სარიშვილი-ჭანტურია დარწმუნებულია, რომ სასამართლო პროცესს თავის სასარგებლოდ შემოაბრუნებს. „არავის იმედად ეს საქმე არ დამიწყია და ვფიქრობ, პრეზიდენტი იმედს არ გამიცრუებს" – განაცხადა მან. (იფრინდა)

## პროკურატურას დაავიწყდა...

ვლ.არძინბას თბილისში ჩამოსვლას ი.სარიშვილი-ჭანტურია იურიდიულად გაუმართლებლად მიიჩნევს და თვლის, რომ ეს ნაბიჯი საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის უხეში და თავხედური გამოვლინებაა. ედპ-ს ლიდერი სკეპტიკურად არის განწყობილი და სჯერა, რომ მოლაპარაკებები შედეგს არ მოიტანს, რადგან აფხაზეთში დაბრუნებული ვლ.არძინბა ამ შეხვედრას განიხილავს, როგორც შეხვედრას ორი სახელმწიფოს ლიდერებს შორის.

ი.სარიშვილი-ჭანტურია „აღფრთოვანებულია" სამართალდამცავი ორგანოების მიერ არძინბას უსაფრთხოების დაცვით მაშინ, როცა საქართველოს პროკურატურის მიერ აფხაზთა ლიდერის წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, რაც „ამჯერად პროკურატურამ დაივიწყა". (იფრინდა)

# შემდგარ ტერაქტის გამო „დაპატიმრებული" და „არშემდგარ ტერაქტზე ფიქრისთვის" გასამართლებული ზვიადისტის ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბ-ნ ე.შევარდნაძეს



ბატონო პრეზიდენტო! მე გახლავართ ზაზა დვალი, ერთ-ერთი წევრი იმ „ზვიადისტების ტერორისტული დაჯგუფებიდან", რომელიც 1995 წლის 30 აგვისტოს დააკავეს. მართალია, ჩვენი დაკავებიდან ერთი კვირის შემდეგ გაირკვა, რომ 29 აგვისტოს აფეთქებასთან არავითარი კავშირი არ გვქონდა, მაგრამ ჩვენი განთავისუფლება უშიშროების ბევრი თანამშრომლის სკამს შეარყევდა, ამიტომაც „ძლიერთა ამა სოფლისათა" გადაწყვიტეს გავესამართლებინეთ სამშობლოს ღალატის ბრალდებით. დღევანდელ საქართველოში კანონი ის ქოთანია, რომელსაც „მართლმსაჯულება" ყურს საითაც უნდა, იქეთ მოაბამს. ამდენად, სავსებით შესაძლებელი გახდა 7 კაცის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ბრალდებით გასამართლება. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ჯ.ლეონიძის მიერ გამოტანილი განაჩენით დადასტურებულად ჩაითვალა, რომ მე ჩავიდინე: „სამშობლოს ღალატი, ე.ი. ქმედება, რომელიც საქ.მოქალაქემ ჩაიდინა საქ.სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული ხელშეუხებლობის, სახ.უშიშროების და თავდაცვის უნარიანობის საზიანოდ; სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობა; სახმოღვაწის მკვლელობის, მზადება, ჩადენილი მისი სახ.მოღვაწეობასთან დაკავშირებით, საქ.ხელისუფლების შესუსტების მიზნით; აგრეთვე საქ.კონსტიტუციური წყობილების დამხობის მიზნით შეიარაღებული ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა"... დამეთანხმებით, ბრალდებები სერიოზულია. მართალია, ლოგიკურობას მოკლებულია, რომ 7 კაციანი ჯგუფით, 2 (ორი) ავტომატით და ერთი მუზარადით ვაპირებდით პარლამენტის შენობის დაკავებას, დეპუტატების დაპატიმრებას, ტელევიზიის და ფოსტის გაკონტროლებას, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში თქვენს ლიკვიდაციას, მაგრამ რადგან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს – ლეონიძეს ასე მიაჩნია, უნდა დავუჯეროთ, ტყუილს არ იკადრებს – პროფესიონალი იურისტია და ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს „ღირსეული" წარმომადგენელი. ლაპარაკი გამიგრძელდა. ამ თემაზე თუმცა ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ თქვენი ყურადღების შეჩერება სხვა საკითხზე მსურს: დავუბრუნდები 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის ლამის გადაღეჭილ თემას. მე და კიდევ 9 კაცი 30 აგვისტოს დაგვაკავეს სწორედ ამ ტერაქტში მონაწილეობის ეჭვის გამო. ამის თაობაზე იმ დღეების სამთავრობო პრესისა და ტელევიზიის არქივში შენახული შესაბამისი მასალა დაგარწმუნებთ. ჩვენს დაკავებას ხელმძღვანელობდა უშიშროების სამინისტროს უფროსის პირველი მოადგილე ავთ.იოსელიანი. იგი არა მარტო ჩვენი დაკავების ორგანიზატორი გახლდათ, არამედ ის ხელმძღვანელობდა „გამოძიების" პროცესს უშუალოდ და მისი მეცადინეობით იქნა მიღებული აღიარებითი ჩვენებები, სადაც მისი კარნახით დავწერე, თუ როგორ ვაპირებდი 29 აგვისტოს სახ.მეთაურის აფეთქებას. ტერაქტის ნამდვილი ორგანიზატორის ვინაობის გამოვლინების შემდეგ ჩემი და სხვების „აღიარებები" გაქრა და ჩემი გასამართლება სულ სხვა ბრალდებებით მოხდა: თითქოს ვაპირებდი სხვებთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას არა 29 აგვისტოს, არამედ პერსპექტივაში. თარიღი არ დაუზუსტებია არც სუკის საგამოძიებო განყოფილებას, რომელსაც მიჰყავდა წინასწარი ძიება და მისი დაკონკრეტებით არც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს – ჯ.ლეონიძეს შეუწუხებია თავი. ჩემს სასამართლო პროცესზე ადვოკატების მიერ წარმოდგენილ მოთხოვნის ბლანკებზე გარკვევით ეწერა, რომ უშ.სამსახურის საგამოძიებო განყოფილება ადვოკატებს იძახებდა 29 აგვისტოს ტერაქტში ეჭვმიტანილთა უფლებების დასაცავად. კიდევ უამრავი ფაქტი და მასალა წარმოჩნდა ზემოთხსენებულ პროცესზე,რითაც დასტურდება, რომ მე და კიდევ 6 კაცი (3 კაცი გაანთავისუფლეს წინასწარ გამოძიების პროცესშივე) დაკავებისას უშიშროებამ დაგვაკავშირა 29 აგვისტოს ტერაქტთან. ამ პროცესის და საერთოდ დაკავებიდან დღემდე ჩემს თავს გადახდენილი ამბების ანალიზით მივედი დასკვნამდე, რომ თქვენი ხელისუფლება არც ისე მყარია, როგორც თქვენ გგონიათ. იქნებ გჯერათ, რომ ავთ.იოსელიანმა არ იცოდა, ვინ მოაწყო 29 აგვისტოს აფეთქება?! დავუშვათ, არ იცოდა. მაშინ რატომ ცდილობდა ეს აქტი დაებრალებინა ჩემთვის და კიდევ 6 კაცისათვის, რომელთაგან 3 სასამართლო პროცესზე გავიცანი და რომელთა უდანაშაულობაში ყველაზე მეტად თვითონ იყო დარწმუნებული?! განა ეს არ ნიშნავს, რომ უშსამინისტროს მეორე კაცი ცდილობდა დაემალა დანაშაული?! საიდან იცოდა იმ დღესვე ის ფაქტები, რომლებსაც მკარნახობდა აღიარებისთვის: მანქანების ფერი, განლაგება, ასაფეთქებლის რაოდენობა, დანაღმვის ტექნოლოგია?! რატომ მალავს იმ ფაქტს, რომ 30 აგვისტოს დილის 1–2 საათზე უკვე თვითონ თბილისში ბრძანდებოდა და თავად ხელმძღვანელობდა ჩვენს ცემა-ტყეპას?! რატომ მიპირებდა რკინიგზის სადგურთან მდებარე განყოფილების მე-3 სართულის ფანჯრიდან გადმოგდებას, 29 აგვისტოს, აღიარების გამოძალვის შემდეგ?! ან უშიშროების იზოლატორში გადაყვანისას მსუბუქ ავტომობილში უკან მარტო მჯდომს რატომ მთავაზობდნენ გაქცევას?! „გაქცევისას" ჩემი მოკვლის შემთხვევაში როგორი ინფორმაცია იქნებოდა მეორე დღეს პრესაში?! ალბათ, იგორ გიორგაძის ვერსია ჩვენი ტერორისტობის შესახებ მეტ დამაჯერებლობას შეიძენდა. რა აუცილებლობას წარმოადგენდა ჩემი და სხვების 30 აგვისტოს დილის 6 საათზე აყვანა, თუკი ჩვენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას გაურკვეველი მომავლისთვის ვაპირებდით?! განა უმჯობესი არ იქნებოდა უშ.სამსახურს დაეცადა, სანამ ხელთ ნამდვილი რეალური მტკიცებულებები არ ჩაუვარდებოდა ჩვენს წინააღმდეგ?! ბ-ნო პრეზიდენტო! უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ ის ფაქტი, რომ უშ.სამსახურის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა არაფერი იცის ასეთი მასშტაბური დანაშაულის შესახებ?! მაგრამ არც ასეა საქმე: იმ პერიოდის პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ავთ.იოსელიანს სცოდნია მოსალოდნელი აქტის თაობაზე, უბრალოდ, ვერ გაუგია, ვისთვის ეთქვა ამის შესახებ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ნუთუ ვერ დარწმუნდა, რომ მისი ყოფილი შეფი ტერაქტის აღსაკვეთად არავითარ პროფილაქტიკურ ღონისძიებას არ ატარებდა?! ლოგიკურია დასკვნა, რომ ამ სუბიექტმა მშვენივრად იცოდა 29-ში ვინ მოახდინა აფეთქება და 10 კაციანი „ზვიადისტების" ჯგუფის აყვანით ცდილობდა შეენიღბა ნამდვილი დამკვეთი და შემსრულებელი. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა თანამონაწილეობა ასეთი დონის სახელმწიფო დანაშაულში. იქნებ ვინმემ იფიქროს, მარტო იოსელიანზეა საქმე?! საქმე გაცილებით რთულადაა,ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს: ვინმე დაიჯერებს, რომ უშ.სამინისტროს სხვა, დაჭერას გადარჩენილმა თანამშრომლებმა არაფერი იცოდნენ ამ ტერაქტის შესახებ ან 29-მდე ან 29-ის შემდეგ?! განა უშ.სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გენერალი თ.გრძელიძე არ ახლდა იოსელიანს უშ.იზოლატორში 1995 წლის 2 სექტემბერს, როდესაც იოსელიანი მეუბნებოდა: „ვიცი, შენი აფეთქებული არაა, მაგრამ ახლა ასეა საჭიროო?!" განა უშ.სამსახურის გამომძიებლებმა ი.მაჩხანელმა და კ.შონიამ არ იცოდნენ, რაში იყო საქმე?! იქნებ გგონიათ, რომ 7 კაცისაგან „აღიარებების" მიღებას ავთ.იოსელიანის ფიზიკური შესაძლებლობები ეყოფოდა?! მას ხომ თანამშრომლების მთელი ბრბო ეხმარებოდა ჩემი ცემა-ტყეპისას. ასე ყოფილა სხვების „დაკითხვის" დროსაც. ამ ადამიანებიდან ბევრი ისევ ზის თავის სავარძელში დღეს უკვე სამინისტროდ გადაქცეული უწყების კაბინეტებში და ვინ იცის, ინსტრუქციას ელიან, საიდანმე ახალი ტერაქტის განსახორციელებლად. ჩემი ბრალდებები ხომ უშ.სამსახურის საგამოძიებო სამმართველომ შეცვალა მოგვიანებით ავთ.იოსელიანის სასარგებლოდ?! ჟურნალისტების გაფრთხილებაშიც ხომ იღებდა მონაწილეობას უშ.სამსახურის გარკვეული ნაწილი?! რა ინტერესები ამოძრავებდა ამ ნაწილს?! თავისი შეფის გადარჩენა?! რაში ენაღვლებოდათ, როდის შემდეგ გახდნენ ასეთი სენტიმენტალურები?! იქნებ სხვაგვარადაა საქმე?! იქნებ მასზე არიან დამოკიდებულები?! რა დამოკიდებულება უნდა იყოს ეს?! ეს კითხვები ღირს ჩასაფიქრებლად. დიდი განსჯის გარეშეც ყველა დამეთანხმება, რომ აქ მთლად აწყობილად და სუფთად არაა საქმე. მაგანმა იქნებ ჩათვალოს, რომ ეჭვით სავსე კითხვების დასმა მხოლოდ უშსამსახურის საქმიანობის ირგვლივაა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ვერავის დავეთანხმები: განა 7-მა განსასჯელმა სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებში არ დაადასტურა, როგორ ბრალდებოდათ 29 აგვისტოს აფეთქება?! რა მეთოდებს იყენებდნენ აღიარების მისაღებად?! განა უზ.სასამართლოს მოსამართლე ჯ.ლეონიძე ვერ ხედავდა საჩოთირო მომენტებს უშ.სამსახურის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნაში?! განა ადვოკატებმა არ წარმოადგინეს ბლანკები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მათ მიერ დასაცავი პირები 29 აგვისტოს ტერაქტის გამო დააკავეს?! განა მოსამართლემ ვერ გაიგო, ვინ და როგორ გვძალავდა ჩვენებებს ი.გიორგაძის სასარგებლოდ?! იქნებ ჯ.ლეონიძეს – უმაღლესი კვალიფიკაციის იურისტს, არ გაუჩნდა ჩემს მიერ დასმული კითხვები?! ვერ დავიჯერებ, რომ ბრმების და ყრუების ქვეყანაში ვცხოვრობ. უფრო დავიჯერებ, რომ ლეონიძეს და იოსელიანს სასამართლო პროცესის დაწყებამდე და მსვლელობის დროსაც ჰქონდათ მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი საუბრები, რის შედეგადაც მოსამართლემ საერთოდ აუკრძალა ადვოკატებს დაცვის მიმართულებით მუშაობა და რის შედეგადაც ავთ.იოსელიანის გვარი მაქსიმალურად იშვიათად გაისმოდა სასამართლო პროცესზე. შეიძლება გულუბრყვილოებს სჯერათ, რომ სასამართლო ხელისუფლებაში ყველაფერი რიგზეა და მოსამართლეები თავად სჭრიან სამართალს უშუალო უფროსების დაუკითხავად. იმედი მაქვს, თქვენ ასე არ ფიქრობთ, ბ-ნო პრეზიდენტო! დიახ, სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეებიც უთუოდ საქმის კურსში ბრძანდებოდნენ თავიდან გახმაურებული, შემდეგ კი დიდი მცდელობის გამოისობით მიჩუმათებული საქმის გარშემო. სხვაგვარად საქართველოში არ ხდება. აქედან გამომავალი დასკვნაც შემაშფოთებელია: სასამართლოში ან უშწარმომადგენლების შიშით თვალები დახუჭეს, ან ერთი ამქრის წევრები არიან. ვაი, ჩვენს მართლმსაჯულებას და სახელმწიფოს ორივე შემთხვევაში: თუ პეტრეს პავლესი ეშინია, ამ უკანასკნელს შეუძლია სახელმწიფოს მეთაურის გარეშე დატოვება. ყოველ შემთხვევაში, მცდელობისათვის პასუხს მაინც არავინ მოსთხოვს. ამ დროს სწორედ ეს პირები სასამართლო რეფორმაზე და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე გაუთავებლად ლაპარაკობენ.

ბოლო კითხვა თქვენ გეკუთვნით, ბ-ნო პრეზიდენტო! თუკი 1995 წლის 30 აგვისტოდან პატიმრის მწირი ინფორმაციის ანალიზით ამდენი უპასუხო კითხვა გამიჩნდა, თქვენოდენა ინფორმაციის პატრონს არაფერი გაშფოთებთ?! ან იქნებ ამ წერილის მოწერით ტყუილად ჩავიყენე თავი საფრთხეში და არავის ჭირდება ამ საეჭვო საქმეების გამომზეურება?!

**პოლიტპატიმარი**
**ზ.დვალი**
ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონია
1997 წ. 20 ივლისი

[stamp]

# შევარდნაძე ახალ კაპიტულაციას ამზადებს

პირველი გვერდიდან

ავტოხთონურია (ადგილობრივად მკვიდრია), რომელმაც ეს ტერიტორია საგვარეულო წყობიდან ფეოდალურში გადაიყვანა, აქ სახელმწიფოებრიობა (ქართულენოვანი სახელმწიფოებრიობა!) შექმნა და უმდიდრესი შუასაუკუნებრივი მატერიალური კულტურა დაგვიტოვა; ასევე, არ დაებადათ ჟურნალისტებს კითხვა არძინბას მიმართ: აფხაზების პროცენტს აფხაზეთის მოსახლეობაში მხოლოდ ქართველების შემოსახლება ამცირებდა თუ სხვებისაც – სომხებისა, რუსებისა და კიდევ სხვათა და სხვათა – რასაც აფხაზების მხრიდან არასოდეს პროტესტი ან უკმაყოფილება არ გამოუწვევია? საქმეში ჩახედულ ჟურნალისტს წინასწარ მომზადებული კითხვაც ექნებოდა არძინბასთან ამ თემაზე: ცნობილია და ცხადია, რომ აფხაზების რაოდენობისა და მათი დემოგრაფიული ქცევის ტრადიციის მიხედვით (მრავალშვილიანობა მათში ხშირი არაა) აფხაზეთის მთლიანი დემოგრაფიული ათვისება აფხაზებს არ შეუძლიათ. ვისით ფიქრობთ ქართველების გასვლით გაჩენილი ვაკუუმის შევსებას?; გამორჩათ მათ მრავალი სხვა კითხვაც, რომელიც დამნაშავესთან ინტერვიუს ამღები ჟურნალისტის კლასიკურ არსენალს ეკუთვნის.

ძნელი საფიქრებელია, რომ ეს ინტერვიუ ქართული მხარის მიერ ჩაფიქრებული იყო როგორც არძინბასთვის მისი ანტიჰუმანური და სამართალსაწინააღმდეგო შეხედულებების საკუთარი პირით თქმევინების საშუალება (თუ ამ მიზანს დაისახავდა, ჟურნალისტს მისთვის ბევრად მეტის თქმევინება შეეძლო). ამ იმთავითვე წასაგებად განწირული დიალოგის აზრი უფრო ის არის, რომ ცუდად განსახიერებული ქართული პოზიციის უსუსურობა გეიჩვენოს და *მით გული გაუტეხოს როგორც აფხაზეთიდან იარაღით გამოდევნილ ქართველობას, ისე ქართველ ერს მთლიანად,* საქართველოს ინტერესთა იმ მორიგი წინასწარგანზრახული გაწირვის წინ, რომლის სუნი ჰაერში უკვე დატრიალდა.

ქართული ინტერესების ამ გაწირვას, როგორც დღესდღეობით ეტყობა, მორიგი *კაპიტულაციის* სახე უნდა ჰქონდეს. თუმცა საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, თვალთმაქცი მანდილოსანივით, „ზრდილობისთვის“ წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეს მცირე ხნის მანძილზე და რუსების შემოთავაზებულ „პროტოკოლს“ აქამდე ხელი არ მოაწერა, მაინც მოსალოდნელია, რომ ეს მოხდეს. როგორც ვთქვით, ამ კაპიტულაციის საფუძველი იქნება რუსეთის მიერ შედგენილი „პროტოკოლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სამართლებრივი დარეგულირებისა“, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა რუსულ პრესაში და რომელიც უახლოეს პერსპექტივაში საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოცილების წანამძღვრებს შეიცავს. მით უფრო მოსალოდნელია მოვლენათა ამგვარი განვითარება შევარდნაძის იმ წინასწარი განაცხადების შუქზე, რომ შეთანხმება უსათუოდ *შედგება* (რაც დაახლოებით იმას ჰგავს, კაცს რომ თხის ან მანქანის ყიდვაზე ევაჭრებოდეთ და წინასწარ პირობა დადოთ, უსათუოდ ვიყიდიო. ცხადია, ეს განცხადება ფასის უზომოდ გაზრდას გამოიწვევს).

გთავაზობთ ამ „პროტოკოლს“ ორიგინალში და ქართულ თარგმანში და კომენტარს მასზე.

**ნოდარ ნათაძე**

## „ნეზავისიმაია გაზეტა“ 01.08.97. №141

# „პროტოკოლი საქართველო-აფხაზეთის დარეგულირების შესახებ“

**საქართველოს** და აფხაზეთის მხარეთა წარმომადგენლები, რუსეთის ფედერაციის შუამავლობითა და გაეროს ეგიდით, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, რომლებიც დამყარებული იყო 1994 წლის 4 აპრილის „საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ღონისძიებათა შესახებ“ განცხადების დებულებებზე, გაეროსა და ეუთოს გადაწყვეტილებებზე,

– სურთ რა, ზღვარი დაუდონ კონფლიქტს, რომელმაც მათი დაშორიშორება გამოიწვია, და აღადგინონ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კავშირები, მშვიდობიანი ცხოვრების ურთიერთობები და ურთიერთპატივისცემა.

– დარწმუნებულები, რომ დადგა დრო მომავალი მშვიდობისა და კეთილდღეობის გზაზე დადგომისა, ღირსების გრძნობითა და ურთიერთშემწყნარებლობის გრძნობით ერთობლივი ძალებით საერთო მომავლის შენებისა კომპრომისისა და შერიგების სულისკვეთებით,

– ზრუნავენ რა სამოქალაქო მშვიდობის, ეროვნებათშორისი თანხმობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებათა პრიორიტეტულობის რეალიზაციისათვის, ეროვნული კუთვნილობისა, აღმსარებლობისა თუ სხვა განსხვავებისდა მიუხედავად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას არ მიმართონ იარაღს მათ შორის არსებული წინააღმდეგობების გადასაჭრელად და არანაირ პირობებში არ დაუშვან სისხლისღვრის განახლება. ყოველგვარი უთანხმოებები გადაწყდება მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალებებით, მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების მეშვეობით, როგორც ორმხრივ საფუძველზე, ისე რუსეთის ფედერაციის შუამავლობით, გაეროს ეგიდით, ეუთოსა და დსთ-ს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. მხარეები აცხადებენ თანხმობას იცხოვრონ საერთო სახელმწიფოს პირობებში, ყოფილი საქართველოს სსრ-ს საზღვრებში 1991 წ. 21 დეკემბრის მდგომარეობით. თითოეული მხარე ინარჩუნებს თავის კონსტიტუციას, ხოლო მათ შორის ურთიერთობა რეგულირდება განსაკუთრებული ხელშეკრულებით, რომელსაც მხარეთა შეთანხმებით მინიჭებული ექნება კონსტიტუციური კანონის ძალა. მისი დებულებები სავალდებულო იქნება ორივე მხარისათვის.

3. მხარეები ნებაყოფლობით ახდენენ საერთო სახელმწიფოს ერთობლივად შექმნილი ორგანოებისათვის შემდეგი ფუნქციების დელეგირებას:

ა) საგარეო პოლიტიკა და საგარეო ეკონომიკური კავშირები;

ბ) თავდაცვის პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;

გ) სასაზღვრო სამსახური;

დ) საბაჟო სამსახური;

ე) ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა;

ვ) ეკოლოგია და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაცია;

ზ) ადამიანის და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების, ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მხარეებს შეუძლიათ გააფართოონ ერთობლივი მოქმედების სფეროები. მათი თანამშრომლობის განხორციელების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

4. ვალუტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე იფუნქციებს რუსეთის რუბლი.

5. ახლდება ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცესი 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების საფუძველზე, პირველ ყოვლისა გალის რაიონში.

ლტოლვილთა დაბრუნების სამუშაო ორგანიზაციისათვის პირობების შესაქმნელად ჩამოყალიბდება სამუშაო ჯგუფი მონაწილე მხარეების და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით და, შესაძლოა, ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს მონაწილეობით, რომელიც არაუგვიანეს 1997 წ. 1 ივლისისა გამოაცხადებს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაწყებას.

აფხაზეთის მხარე მზადაა 1997 წლის 1 ივლისიდან დაიწყოს ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნება. იგი ადასტურებს თავის პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებაზე, აგრეთვე გარედან შეიარაღებული ფორმირებების შემოსვლის არდაშვებას. მიღებული იქნება ზომები აფხაზეთში მცხოვრებთათვის თანაბარი უფლებების უზრუნველსაყოფად მათი ეროვნული, აღმსარებლობითი თუ სხვა კუთვნილობის განუსხვავებლად.

საქართველოს მხარე იღებს ვალდებულებას მიიღოს ეფექტური ზომები, რათა არ დაუშვას აფხაზეთში ტერორისტული და დივერსიული ჯგუფები, შეიარაღებული ფორმირებები და პირები.

მხარეები ადასტურებენ, რომ დსთ-ს კოლექტიური მშვიდობისდამცველი ძალების ყოფნა კონფლიქტის ზონაში უნდა უწყობდეს ხელს პირობების შექმნას ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა უსწრაფესი უსაფრთხო დაბრუნებისათვის მათი სახლობის ადრინდელ რაიონებში.

6. ლტოლვილთა დაბრუნების პირობათა შექმნის და ომით დაზარალებული მოსახლეობისათვის ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, მხარეები მიმართავენ თხოვნით რუსეთის ფედერაციას, რათა ლტოლვილთა ორგანიზებულ დაბრუნებასთან დაკავშირებით დამყარდეს ნორმალური სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმი, აღმოჩენილ იქნას დახმარება სარკინიგზო, საჰაერო და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ორგანიზებაში და ენერგოსისტემისა და კავშირგაბმულობის მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში.

ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისათვის დაბრკოლებათა წარმოშობის შემთხვევაში ამ დაბრკოლებათა მოცილების საკითხი დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხილული მხარეების მიერ, გაეროს, ეუთოს, ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

7. წინამდებარე პროტოკოლის ხელმოწერის შემდეგ გაგრძელდება მუშაობა ხელშეკრულებაზე, რომელიც დაარეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობებს.

ხელშეკრულების აღსრულება უნდა იყოს საიმედოდ გარანტირებული. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში დგება მისი გაუქმების საკითხი, რისი საფუძველიცა და წესიც განსაზღვრული იქნება ხელშეკრულებით.

8. მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ რუსეთის ფედერაციის მზადყოფნას, იყოს შეთანხმებათა გარანტი, რომლებიც დაფიქსირებულია წინამდებარე „პროტოკოლში“, კერძოდ, მის თანხმობას, რომ თავის ამ აღნიშნულ ფუნქციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, თავისი ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, მიიღოს ეფექტური ზომები ნებისმიერი საბაბით ყოველგვარი ძალის გამოყენების მცდელობის აღსაკვეთად „პროტოკოლით“ გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში.

9. წინამდებარე პროტოკოლი გამოყენებაშია მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაში შედის მხარეების მიერ მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 1997 წლის 1 ივლისისა.

**დანართი**

**საქართველო-აფხაზეთის დარეგულირებისათვის**

პროტოკოლის პირობებიდან გამომდინარე, გალის რაიონში ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნებასთან დაკავშირებით პროტოკოლის ხელმოწერისთანავე კომპლექტდება შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების არსებული შტატები უპირატესად გალის რაიონში დაბრუნებული მაცხოვრებლებისაგან.

მხარეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იღებენ საკუთარ თავზე შსრგ-ების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

მხარეთა სამართალდამცავი ორგანოები (შინაგან საქმეთა, უშიშროების, პროკურატურის) შეიმუშავებენ ურთიერთთანამშრომლობის გეგმებს. ტერორიზმის, დივერსიული და ბანდიტური ჯგუფების მოქმედების, მართლწესრიგის დარღვევის პროფილაქტიკისა და აღკვეთისათვის.

ამ მიზნით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია მხარეთა შესაბამისი ქვედანაყოფების მოზიდვა.

# ПРОТОКОЛ О ГРУЗИНО-АБХАЗСКОМ УРЕГУЛИРОВАНИИ

## Документ

ПРЕДСТАВИТЕЛИ грузинской и абхазской сторон при посредничестве Российской Федерации и под эгидой ООН в результате продолжительных переговоров, основанных на положениях «Заявления о мерах по политическому урегулированию грузино-абхазского конфликта» от 4 апреля 1994 года, решений ООН и ОБСЕ,

желая покончить с разделившим их конфликтом и восстановить государственно-правовые связи, отношения мирной жизни и взаимного уважения,

убежденные в том, что настала пора встать на путь, ведущий к миру и благополучию, с чувством достоинства и взаимной терпимости приступить к созиданию совместными усилиями общего будущего, действуя в духе компромисса и примирения,

заботясь об обеспечении гражданского мира, межнационального согласия и безопасности народов, реализуя приоритет основных прав человека и гражданина, независимо от национальной принадлежности, вероисповедания, места жительства и иных различий,

согласились о нижеследующем:

1. Стороны обязуются не прибегать к оружию для решения разделяющих их противоречий и ни при каких условиях не допускать возобновления кровопролития. Любые разногласия будут решаться исключительно мирными политическими средствами, путем переговоров и консультаций как на двусторонней основе, так и при посредничестве РФ, под эгидой ООН, при участии представителей ОБСЕ, СНГ.

2. Стороны заявляют о согласии жить в условиях общего государства в границах бывшей Грузинской ССР на 21 декабря 1991 г. Каждая из двух сторон сохраняет свою Конституцию, а отношения между ними будут регулироваться особым Договором, которому по соглашению сторон будет придана сила Конституционного Закона. Его положения будут обязательными для обеих сторон.

3. Стороны добровольно делегируют совместно созданным органам общего государства следующие функции:

а) внешняя политика и внешнеэкономические связи;

б) определение и осуществление оборонной политики;

в) пограничная служба;

г) таможенная служба;

д) энергетика, транспорт, связь;

е) экология и ликвидация последствий стихийных бедствий;

ж) обеспечение прав и свобод человека и гражданина, прав национальных меньшинств.

По взаимной договоренности сторон предметы совместной деятельности могут быть расширены. Условия их осуществления будут определяться Договором.

4. До решения вопроса о валюте на территории Абхазии будет иметь хождение российский рубль.

5. Возобновляется процесс организованного возвращения беженцев и перемещенных лиц в соответствии с Четырехсторонним соглашением от 4 апреля 1994 года, прежде всего в Гальский район.

Для организации работы по созданию условий для возвращения беженцев будет образована Рабочая группа из представителей сторон и Российской Федерации с возможным участием УВКБ, которая не позже 1 июля 1997 года объявит о начале процесса возвращения беженцев.

Абхазская сторона готова начать с 1 июля 1997 года возвращение беженцев и перемещенных лиц, подтверждает ответственность за их безопасность, а также не допущение извне вооруженных формирований.

Будут приняты меры по обеспечению в Абхазии равных прав для жителей без различия национальной, религиозной и иной принадлежности.

Грузинская сторона обязуется принять эффективные меры по пресечению проникновения в Абхазию террористических и диверсионных групп, вооруженных формирований и лиц.

Стороны подтверждают, что присутствие Коллективных сил СНГ по поддержанию мира в зоне конфликта должно содействовать созданию условий для скорейшего безопасного возвращения беженцев и перемещенных лиц в районы их прежнего проживания.

6. В целях создания условий для возвращения беженцев, улучшения жизни потерпевших от войны людей стороны обращаются к Российской Федерации с просьбой о том, что в связи с началом организованного возвращения беженцев был установлен нормальный пограничный и таможенный режим, оказано содействие в решении вопроса об организации движения железнодорожного, авиационного и других видов транспорта, в обеспечении устойчивого функционирования энергетической системы и связи.

В случаях возникновения условий, препятствующих процессу возвращения беженцев и перемещенных лиц, вопрос об их устранении должен быть незамедлительно рассмотрен сторонами с участием представителей ООН, ОБСЕ, УВКБ и Российской Федерации.

7. После подписания настоящего Протокола будет продолжена работа по подготовке Договора, регулирующего взаимоотношения сторон.

Осуществление Договора должно быть надежно гарантировано. В случае нарушения Договора одной из сторон возникает вопрос о его расторжении, основание и порядок чего будут определены Договором.

8. Стороны с удовлетворением отмечают готовность Российской Федерации быть гарантом договоренностей, зафиксированных в настоящем протоколе, и, в частности, принимать в этом качестве в соответствии со своими обязательствами по Уставу ООН эффективные меры по предотвращению и прекращению обращений к силе под любым предлогом в нарушение настоящего Протокола.

9. Настоящий Протокол применяется со дня его подписания и вступает в силу после завершения сторонами предусмотренных их законодательством процедур, но не позднее 1 июля 1997 года.

**Приложение к Протоколу о грузино-абхазском урегулировании**

Исходя из положений Протокола и в целях обеспечения безопасности возвращающихся в Гальский район беженцев, с момента подписания Протокола укомплектовываются существующие штаты РОВД, преимущественно из возвратившихся жителей Гальского района.

Стороны по взаимной договоренности берут на себя материально-техническое обеспечение личного состава РОВД.

Правоохранительные органы сторон (органы внутренних дел, безопасности, прокуратуры) разрабатывают планы взаимодействия по предупреждению и пресечению деятельности диверсионных террористических и бандитских групп, нарушений правопорядка.

В этих целях по взаимному согласованию могут привлекаться соответствующие подразделения сторон.

# ნ. ნათაძის კომენტარი „პროტოკოლის“ პროექტზე

1. ერთადერთი მოგება, რომელიც საქართველოს შეიძლებოდა ჰქონოდა ან შეიძლება ჰქონდეს წაგებული ომის პირობებში გამარჯვებულ „მოწინააღმდეგესთან მოლაპარაკების შედეგად (სხვა სახელმწიფოთა თანამონაწილეობით ამა თუ იმ ფორმით და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალწინ), *არის ლტოლვილი და ძალით გადაადგილებული ქართველი მოსახლეობის შინ დაბრუნებისთვის პირობების შექმნა*. ამ მიმართულებით „პროტოკოლი“ არ შეიცავს არავითარი პროგრესის რაიმე წანამძღვარს.

– ჯერ ერთი, „პროტოკოლში“ აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების წესის განმსაზღვრელად აღიარებულია 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმება, რომლის პუნქტი 3 ქვეპუნქტ „C“ შეიცავს ისეთ შეზღუდვას, რომელიც სეპარატისტულ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს საბაბი იპოვოს *თითქმის ყოველი ქართველი ოჯახისთვის შინ დაბრუნებაზე უარის სათქმელად* (იხ. „პროტოკოლის“ პრეამბულა, აბზაცი პირველი). ხსენებული შეთანხმების თანახმად, შინ დაბრუნების მსურველთა შორის იმუნიტეტი (ანუ „დასჯისაგან“ დაცვა) არ ენიჭებათ ისეთ პირებს, „ვინც წარსულში მონაწილეობას იღებდა საბრძოლო მოქმედებაში, ხოლო ამჟამად იმყოფებიან შეიარაღებულ ფორმირებათა შემადგენლობაში, რომლებიც ემზადებიან საბრძოლო მოქმედებისათვის აფხაზეთში“. თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად იყო და არის სავსებით კანონიერი მოქმედება, რომელიც მოქალაქის მოვალეობას შეადგენს, ცხადი ხდება, რომ „პროტოკოლის“ თანახმად, დაბრკოლება შეექმნება დევნილ ოჯახთა დიდ ნაწილს. მოქალაქეები დაისჯებიან იმისთვის, რომ კანონმორჩილი მოქალაქეები არიან! ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთში შეუზღუდველად იმყოფებიან როგორც სეპარატისტთა მებრძოლები, ისე საზღვარგარეთიდან მოსული მებრძოლები, მაშინ სრულებით უეჭველია, რომ ქართველი მოსახლეობა, რომელსაც არა მხოლოდ იარაღის ქონის საშუალება ექნება წართმეული, არამედ მთელი ბრძოლისუნარიანი ელემენტიც ექნება გამოკლებული, შეიარაღებული გუშინდელი მტრების მსხვერპლი იქნება.

– *მეორეც*, „პროტოკოლის“ მიხედვით ქართველი მოსახლეობის ერთადერთი დამცველი არის „აფხაზური მხარე“ (იხ. „პროტოკოლი“, პუნქტი 5, აბზაცი მესამე.) ანუ აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლება, ანუ ისევ და ისევ არძინბას ხროვა, რომელმაც ამ ოთხი წლის წინ გენოციდი ჩაიდინა და მას შემდეგაც სისტემატურად აგრძელებს ქართველი მოსახლეობის ჯგუფურსა და ინდივიდუალურ ხვრეტას ყოველგვარი იურიდიული ნორმების გამოუყენებლად. ქართული პოლიცია ან სხვა რამ შეიარაღებული ძალა, რომელიც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარება ან თვით დაბრუნებული ქართველი მოსახლეობის თვითორგანიზაციის ფორმითაა შექმნილი, „პროტოკოლში“ არც ნახსენებია, არც იგულისხმება. რუსეთის „სამშვიდობო“ ძალების მიერ მოსახლეობის დაცვაც უტოპიაა, რამდენადაც ქართველების ზემოხსენებული ხვრეტა ამ რუსული ძალების კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზეც მიმდინარეობს.

2. იმ ფუნქციათა შორის, რომლებიც დელეგირებული იქნება „საერთო სახელმწიფოს ერთობლივად შექმნილი ორგანოებისათვის“ (პუნქტი 3), არ არის დასახელებული *მოქალაქეობის მინიჭების* საკითხები და, მით უმეტეს, *დემოგრაფიულ პროცესთა რეგულირების* საკითხები. ეს იმას ნიშნავს პრაქტიკულად, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე სტაბილიზაციის შემთხვევაში სეპარატისტული ხელისუფლების აქტიური პოლიტიკის შედეგად იქ უმოკლეს დროში დასახლებიდან არა მხოლოდ მუხაჯირთა ნამდვილი ან არანამდვილი შთამომავლები, არამედ ყაბარდოელები, ადიღეელები, კაზაკები და სხვანი, რუსეთის მოსახლეობის უფართოესი ფენების ჩათვლით, და ქართველი მოსახლეობის იქ ცხოვრება მატერიალურადაც და მორალურადაც უფრო და უფრო მძიმე გახდება.

3. „პროტოკოლის“ პუნქტი 6-ის თანახმად, მისი ხელმოწერისთანავე იწყება რუსეთის „თანადგომა“ და „დახმარება“ აფხაზეთში ტრანსპორტის, მათ შორის – სარკინიგზო ტრანსპორტის ამუშავებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს „მუქთად“ (სამაგიეროს გარეშე) ეძლევა აფხაზეთის გავლით საქართველოში და სომხეთში სარკინიგზო კავშირის საშუალება (რაც მისი უდიდესი ინტერესის საგანია) და საქართველოს ეკარგება ზეწოლის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი, რომლითაც მას შეუძლია რუსეთის მოქმედება თავის სასარგებლოდ მიმართოს.

4. „პროტოკოლის“ პუნქტი 5, აბზაცი მეხუთე, პრაქტიკულად ქართულ მხარეს ავალდებულებს აღკვეთოს ქართველი მოსახლეობის პარტიზანული ბრძოლა აფსუა ბატონების წინააღმდეგ. პუნქტი 1 კრძალავს იარაღის გამოყენებას, რაც, აფსუური მხარის გამარჯვების პირობებში, მისი მონაპოვრის სტაბილიზაციის და სეპარატისტების მიერ აფხაზეთის დღეს ნახევრად გაუკაცრიელებული ტერიტორიის დაუბრკოლებელი ათვისების დაწყებას ნიშნავს. „პროტოკოლის“ პუნქტი 8 რუსეთს უფლებას აძლევს და ავალებს იარაღის ძალით უზრუნველყოს და დაიცვას ამ პროტოკოლის შედეგად შექმნილი ვითარება ანუ, პრაქტიკულად, ცალმხრივად დათრგუნოს ქართული მხარის მიერ თავისი სახელმწიფო ინტერესის და მოსახლეობის დაცვის ყოველგვარი მცდელობა.

5. გაეროს დოკუმენტებში რუსეთი აღიარებულია კონფლიქტის რეგულირების პროცესში „ხელშემწყობად“ (facilitator). „პროტოკოლში“ კი – შუამავლად, რაც რუსეთის ფუნქციის გადიდებას წარმოადგენს და, ამდენად, საქართველოსთვის საზარალოა.

6. „პროტოკოლის“ პუნქტი 2 ლაპარაკობს „საერთო სახელმწიფოზე“, რომლის „ერთობლივად შექმნილ“ ორგანოებს“ ექნებათ დელეგირებული ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, როგორიცაა საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა და სხვა. მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ ამ „საერთო სახელმწიფოში“ როგორი იქნება თბილისის და სოხუმის უფლებამოსილებათა გამიჯვნა და როგორ დაკომპლექტდება ის „ერთობლივად შექმნილი ორგანოები“ (არჩევნებით, პარიტეტით თუ სხვა რამ წესით). ამგვარად, გზა ეხსნება როგორც ამ ორგანოების *პარალიზაციას* (ერთი ვარიანტი), ისე ამ „ორგანოების“ მიერ საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის პარალიზაციას (მეორე ვარიანტი) და ამ საერთოს პარალიზაციის ფონზე სეპარატისტული მოქმედების თავისუფლად გაშლას. აქ არაა ლაპარაკი არც ერთიან სახელმწიფოზე (რაც სულ სხვა რამაა, ვიდრე „საერთო“ სახელმწიფო) და არც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე.

7. დასასრულ, „პროტოკოლის“ თანახმად (პუნქტი 7, აბზაცი მეორე), აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს კავშირი ფაქტობრივად არის კონფედერაცია ანუ ისეთი შეერთება ერთობლივ სახელმწიფოდ, რომელიც მხოლოდ მანამდეა ძალაში, სანამ ეს ყველა (ამ შემთხვევაში – ორსავე) მხარეს უნდა. ხსენებული აბზაცი ამ კავშირის დაშლას აკანონებს იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ხელშეკრულების (ე.ი. ხელშეკრულების თუნდ ერთი პუნქტის მაინც) დარღვევა ერთ-ერთი მხარის მიერ, რისი ინსინუაციაც ამა თუ იმ პროვოკაციის სახით ძალიან ადვილია, რამდენადაც ხელშეკრულების „გარანტად“ (პუნქტი 8) აღიარებულია გარეშე და აღმატებული ძალა – რუსეთი (და ამ უკანასკნელს, პრაქტიკულად, გადამწყვეტი ხმა ექნება ხელშეკრულების დარღვევა-დაურღვევლობის ფაქტის დადგენაში).

ამგვარად, „პროტოკოლით“ საქართველო *ვერაფერს იგებს* პროცესთა პრაქტიკული წარმართვის მხრივ (მათ შორის – დევნილთა დაბრუნების მხრივ), მაგრამ *ბევრს აგებს* როგორც პრაქტიკული პროცესების მიმდინარეობის მხრივ (სტაბილიზაცია გადამწყვეტ როლს ითამაშებს მოწინააღმდეგის მიერ აფხაზეთის ათვისების საქმეში), ისე იურიდიულად. ამ პროტოკოლის მიხედვით აფხაზეთის ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ილუზიაა და საქართველოს მიერ თავის მოტყუებაა. „პროტოკოლის“ ცალკეული პუნქტების შეკეთება ან გამოკლება ვერ შეცვლის ვერც მის სრულ პრაქტიკულ უპერსპექტივობას საქართველოს ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით და ვერც მის, გაუზვიადებლად რომ ვთქვათ, ფეთქებადობას ამ ინტერესთა კატასტროფული დაზარალების მიმართულებით მომავალში. ამ პროტოკოლზე დათანხმებას მოლაპარაკებათა შეწყვეტა და მდგომარეობის უცვლელად დატოვება სჯობია.

**ნოდარ ნათაძე**

# ლ. მატარაძის კომენტარები პროტოკოლის ტექსტზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ

1. „მხარეები იღებენ ვალდებულებას არ მიმართონ იარაღს მათ შორის არსებული წინააღმდეგობების გადასაჭრელად... ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალებებით...“.

ვალდებულება, რომ ორივე მხარე უარყოფს იარაღის გამოყენებას კონფლიქტების წარმოშობის შემთხვევაში და ვალდებულება მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური გზით გადაწყვიტონ ყველა პრობლემა, მართლაც მისასალმებელი იქნებოდა, რომ არა ერთი სათუო გარემოება. საქმე ის გახლავთ, რომ თავისი არსით ასეთი ვალდებულება არის არა შიდასახელმწიფოებრივი, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ საერთაშორისო სამართლის პრინციპები (გაეროს წესდების მე-2 მუხლის 3 და 4 პუნქტები). საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართლის ნორმებით ეროვნული უშიშროებისა და კონსტიტუციური წყობილების დასაცავად კონკრეტული ქვეყნის ხელმძღვანელობას სრული უფლება აქვს მიმართოს ძალადობას. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 37-ე მუხლში ვკითხულობთ: „თუ მხარე (მიწა) არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფედერალურ ვალდებულებებს, ფედერალურ მთავრობას შეუძლია ბუნდესტაგის თანხმობით მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა იძულებითი წესით აიძულოს მხარე (მიწა), შეასრულოს თავისი ვალდებულებები ფედერაციის წინაშე“.

ანალოგიური ხასიათის სამართლებრივი უფლებები ცენტრისა ფორმულირებულია ავსტრიის კონსტიტუციის 79 (2) მუხლში, რომელიც ითვალისწინებს ფედერალური სამხედრო ძალების გამოყენებას კონსტიტუციური წყობის დასაცავად. ამერიკის შეერთებულ შტატებში კონსტიტუციის დაცვის გარანტად გვევლინება ქვეყნის პრეზიდენტი. მას შეუძლია მიმართოს დასახმარებლად ეროვნულ გვარდიასა და რეგულარულ ჯარებს კანონის დარღვევის, „უკანონო გაერთიანებების აქტივიზაციის“ და „აჯანყების აფეთქების“ შემთხვევაში. 1970-1990 წლების პერიოდში ამერიკის პრეზიდენტებმა ოთხჯერ გამოიყენეს ამ მიზნით არმია და 200-ზე მეტჯერ ეროვნული გვარდიის ფორმირებები.

3. მხარეები ნებაყოფლობით ახდენენ საერთო სახელმწიფოს ერთობლივად შექმნილი ორგანოებისათვის შემდეგი ფუნქციების დელეგირებას:

ა) საგარეო პოლიტიკა და საგარეო ეკონომიკური კავშირები;

ბ) თავდაცვის პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;

გ) სასაზღვრო სამსახური;

დ) საბაჟო სამსახური;

ე) ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა;

ვ) ეკოლოგია და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაცია;

ზ) ადამიანის და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

ეს ფორმულირება არ ტოვებს ეჭვს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირება გააზრებულია არა ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს ჩარჩოში, არამედ კონფედერაციის ფორმით სახელმწიფოთაშორის კავშირში.

მსოფლიოში დღეს 22 ფედერაციული სახელმწიფოა, მაგრამ არც ერთ მათგანში ისეთი სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი მხარეები, როგორიცაა საგარეო პოლიტიკა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, თავდაცვა, საზღვრის დაცვა და საბაჟო სამსახური, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას, არ ეკუთვნის საერთო კომპეტენციის სფეროს. არც რუსეთის ფედერაციაა გამონაკლისი, რომლის ზეწოლის შედეგადაც საქართველო დათანხმდა ქვეყნის ფედერალურ მოწყობაზე და არ დაელოდა არც რეფერენდუმის ჩატარებას, არც პარლამენტის თანხმობას. ამავე დროს შემოთავაზებული ვარიანტი სრულად შეესაბამება კონფედერაციის კლასიკურ მოდელს: ერთობლივი მმართველობის საკითხთა წრე, მხოლოდ ისეთი სახელმწიფო ორგანოების შექმნა, რომლებიც აუცილებელია წინასწარ შეთანხმებული საერთო ამოცანების შესრულებისათვის, ასევე საერთო ფულადი სივრცის არსებობის მინიშნების არარსებობა და სხვა. ერთი სიტყვით, შემოთავაზებული გაერთიანება განიხილავს საქართველოსა და აფხაზეთს იმგვარად, რომ ისინი იქნებიან თანასწორად სუვერენულნი და საერთაშორისო არენაზე გამოვლენ, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის დამოუკიდებელი სუბიექტები.

4. „ვალუტის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე იფუნქციონირებს რუსული რუბლი“.

თუ რუსეთის მხარე ეთანხმება ტერიტორიული დაურღვევლობის პრინციპს – სხვათა შორის, ეს პროტოკოლში არსად არაა ხსენებული – მაშინ რატომ დაუშვა შესაძლებლობა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხო ვალუტამ იტრიალოს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მხარე უშვებს შესაძლებლობას და შეფარულად პროვოცირებას ახდენს, რომ აფხაზებმა შექმნან თავისი ფულადი ერთეული. თუ მათ არ სურდათ ასე გაგვეგო პროტოკოლის ეს პუნქტი, მაშინ იგი უნდა დაწყებულიყო სიტყვებით: „აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ფულადი სისტემის შემოღებამდე...“ საინტერესოა, რომ ანალოგიური პროტოკოლის 22.08.96 წლის მე-4 პუნქტში ფორმულირებას ასეთი რედაქცია აქვს: „ვალუტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე იფუნქციონირებს რუსული რუბლიც“.

ახლანდელ ტექსტში გამოტოვებულია მხოლოდ ასო „ც“, რომელსაც უდიდესი აზრობრივი დატვირთვა აქვს. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ერთიანი ფულადი სივრცე ლამის ყველაზე კარგი საშუალებაა მოცემული სახელმწიფოს მთლიანობის დასაცავად.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ ომის შემდგომ გფრ-სა და გდრ-ში ორი სხვადასხვა ვალუტის შემოღებით დაიწყო ორი, სრულიად დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბება.

5. „ახლდება ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცესი 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების საფუძველზე, პირველ ყოვლისა გალის რაიონში.

ლტოლვილთა დაბრუნების სამუშაოს ორგანიზაციისათვის პირობების შესაქმნელად ჩამოყალიბდება სამუშაო ჯგუფი მონაწილე მხარეების და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით და, შესაძლოა, ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს მონაწილეობით, რომელიც არაუგვიანეს 1997 წლის 1 ივლისისა გამოაცხადებს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაწყებას.

აფხაზეთის მხარე მზადაა 1997 წლის 1 ივლისიდან დაიწყოს ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნება. იგი ადასტურებს თავის პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებაზე, აგრეთვე გარედან შეიარაღებული ფორმირებების შემოსვლის არდაშვებას. მიღებული იქნება ზომები აფხაზეთში მცხოვრებთათვის თანაბარი უფლებების უზრუნველსაყოფად მათი ეროვნული, აღმსარებლობითი თუ სხვა კუთვნილობის განუსხვავებლად.

საქართველოს მხარე იღებს ვალდებულებას მიიღოს ეფექტური ზომები, რათა არ დაუშვას აფხაზეთში ტერორისტული და დივერსიული ჯგუფები, შეიარაღებული ფორმირებები და პირები.

მხარეები ადასტურებენ, რომ დსთ-ს კოლექტიური მშვიდობისდამცველი ძალების ყოფნა კონფლიქტის ზონაში უნდა უწყობდეს ხელს პირობების შექმნას ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა უსწრაფესი უსაფრთხო დაბრუნებისათვის მათი სახლობის ადრინდელ რაიონებში“.

დავიწყოთ იქიდან, რომ ლაპარაკი არაა და ვერ იქნება „ორგანიზებული დაბრუნების“ პროცესის განახლებაზე დევნილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მიმართ, რადგან ამ ოთხმხრივ შეთანხმებამდე და მის შემდეგაც ეს პროცესი არაორგანიზებულია.

ძალიან სუსტადაა ფორმულირებული, როგორც სტატისტიკურად, ასევე შინაარსობრივად, მხარეებისგან აღებული ვალდებულება გარეშე ძალების კონფლიქტში ჩარევის არდაშვების შესახებ. ეს მუხლი აშკარად ტენდენციური ხასიათისაა და ადეკვატურად არ ასახავს არსებულ მდგომარეობას. ცნობილია, რომ რუსეთის რეაქციულმა ძალებმა არათუ გადაჰკიდეს ერთმანეთს და ძმათამკვლელ ომში ჩაითრიეს ქართველები და აფხაზები, არამედ თავისი დიდმპყრობელური იდეების ხორცშესასხმელად გაშალეს ფართო კამპანია სხვადასხვა ბანდფორმირებების დაქირავების, სწავლებისა და შეიარაღებისათვის აფხაზეთში გასაგზავნად. ხშირად სეპარატისტთა დასახმარებლად გამოიყენებოდა რეგულარული არმიის ქვეგანაყოფები. დაქირავებულთა უმეტესი ნაწილი, რომლებიც მხოლოდ იოლი მოხვეჭის სურვილით არის შეპყრობილი, დღემდე ცხოვრობს და სამხედრო სამსახურს ეწევა აფხაზეთში. პროტოკოლში სიტყვაც არაა ნახსენები, ე.წ. აფხაზეთის არმიის განიარაღების აუცილებლობის შესახებ. არც საზღვარგარეთელი დაქირავებულების, პოლი-

გაგრძელება მე-7 გვ

თარგმანი რუსული ტექსტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის სერიოზული ფსიქოლოგიური ძვრებია საჭირო

შემდეგ ცდისპირებს ეკითხებიან: თავისუფალია თუ არა საქართველო საშინაო პოლიტიკის განხორციელების დროს? გამოკითხულთა 59% პასუხობს, რომ საშინაო პოლიტიკის განხორციელების დროს საქართველო თავისუფალი არ არის, 17% ამბობს, რომ საქართველო თავისუფალია. შემდგომ კითხვაზე - თავისუფალია თუ არა საქართველო საგარეო პოლიტიკის წარმოების დროს, ცდისპირების 46% პასუხობს, რომ თავისუფალი არ არის, ხოლო 22% პასუხობს, რომ თავისუფალია. 11 საფეხურიან სკალაზე ცდისპირები საქართველოს დამოუკიდებლობის მაჩვენებლად მინუს 0.3 ნიშანს თვლის, საშინაო პოლიტიკის მაჩვენებლად მინუს 0,5-ს, საგარეო პოლიტიკაში - მინუს 0,2-ს.

ხალხის აზრით, სახელმწიფოს ძირითადი ორგანოები ვერ ასრულებენ თავის ფუნქციებს. ისინი თავიანთი ფუნქციების შესრულებაში უარყოფით, მინუსმახასიათებელს იღებენ.

შეიარაღებული ძალები - 0,7 ქულა, გამოკითხულების 67% მას უარყოფითად აფასებს, 28% - დადებითად;

განათლების სისტემა - 0,8 ქულა, გამოკითხულების 71% მას უარყოფითად აფასებს, 15% - დადებითად;

პოლიცია - 0,7 ქულა, გამოკითხულების 67% უარყოფითად აფასებს, 20% - დადებითად;

პარლამენტის მუშაობა - 0,9 ქულა, გამოკითხულების 69% მას უარყოფითად აფასებს, 9% - დადებითად;

აღმასრულებელი ხელისუფლ. - 1 ქულა, 75% უარყოფითად აფასებს, 8% - დადებითად.

ერთადერთი სოციალური ინსტიტუტი, რომლის მუშაობა დადებითად ფასდება, ესაა ეკლესია. იგი ფასდება +0,8. გამოკითხულების 50% მის მუშაობას დადებითად აფასებს, 28% - უარყოფითად.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მოსახლეობა საქართველოს დამოუკიდებელ და თავისუფალ ქვეყანად არ თვლის.

აღნიშნულ საკითხებზე რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად ჩვენ თვისებრივი მახასიათებლებიც გვაქვს, რომლებსაც ცდისპირები გამოთქვამენ. მათ თუ თავს მოვუყრით, შემდეგ სურათს მივიღებთ: „დღეს ჩვენი ქვეყანა რუსეთისაგან არ არის დამოუკიდებელი. რუსეთს ჩვენს ქვეყანაში აქვს სამხედრო ბაზები, ჩვენი სახელმწიფო საზღვრები შედის რუსეთის სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში. რუსეთი საქართველოს განიხილავს როგორც თავის ნაწილს. საქართველო რუსეთის გავლენის სფეროში შედის, ამიტომ დასავლეთს არ შეუძლია ჩვენთვის დახმარების გაწევა. ამავე დროს ჩვენ თვითონ უარს ვაცხადებთ დასავლეთთან თანამშრომლობაზე. გვეშინია, ამითი რუსეთი არ გავაღიზიანოთ და განვარისხოთ.

ჩვენი ხელისუფლება თანდათან არაპოლიტიკურ, სამეურნეო საკითხების განმხილველ ორგანიზაციად იქცა. ხელისუფლებამ ჩამოიცილა ნამდვილი ეროვნული ძალები და თვითონაც ხალხისათვის მიუწვდომელი გახდა. მის გარშემო თავი მოიყარა საშოვარზე მოსულმა ხალხმა, ისინი კორუფციაში არიან ჩაფლული. ამიტომ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არააქტუალური გახდა. უკეთეს ვითარებაში არც ქვეყნის საშინაო მდგომარეობაა: არ მუშაობს წარმოება, გაჩერებულია ფაბრიკა-ქარხნები, უმუშევრობამ ძალიან მაღალ დონეს მიაღწია. კატასტროფული მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაში.. არ მუშავდება მიწა. სოფლების ცენტრში მოედნებზე უსაქმოდ დგას ხალხი და რაღაცას მოელის. გუბერნატორები და რწმუნებულები რაიკომის მდივნებივით და ფეოდალებივით ცხოვრობენ. მათ ფაქტობრივად ქვეყნისათვის არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ.

თბილისი გადაიჭედა ლტოლვილებითა და სოფლიდან ჩამოსული ხალხით. ისინი არაფერს ქმნიან, წვრილმანი ვაჭრობით გააქვთ თავი. ხელისუფლება მათ ვერ ეხმარება. ხელისუფლებას არცა აქვს რაიმე საშუალება, რომ მათ დახმარება გაუწიოს. იმ პოლიტიკით, რასაც იგი ეწევა, არც შეიძლება ხალხისათვის რაიმე რეალური დახმარების გაწევა, მაგრამ ხელისუფლებას მაინც მაგრად უჭირავს ქვეყნის სადავეები. ხელისუფლებამ შესძლო ოპოზიციური ძალების დაქსაქსვა და დისკრიმინაცია. ხალხი აღარ ენდობა მათ. ხალხს აღარ სჯერა, რომ, თუ ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში მოვა, ქვეყანას რაიმე ეშველება, მაგრამ ხალხი აღარც ხელისუფლებას ენდობა, მისი იმედიც დაკარგა. ხალხს აღარ სჯერა, რომ ხელისუფლება დამოუკიდებელ და ეროვნულ სახელმწიფოს აშენებს. ამ შეხედულების განმტკიცებას ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკა იწვევს. ხალხის აზრით, ხელისუფლება თვითონაც არ არის გარკვეული, თუ რა ორიენტაცია აიღოს მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან ურთიერთობაში. გადაუწყვეტელობა, გაურკვევლობა და პროცესების თვითნებურად დინებაზე მიშვება, რითაც ჩვენი ხელისუფლების საქმიანობა ხასიათდება, ხალხის უიმედობას და სასოწარკვეთას იწვევს. ყველასათვის ნათელია, რომ აფხაზეთის, ოსეთისა და სხვა დაძაბული რეგიონების საკითხების გადაწყვეტა ხელისუფლებას არ შეუძლია. იმისათვის, რომ ხალხს შეუქმნას სერიოზული აქტივობის ილუზია, ხელისუფლება უამრავ შეთანხმებებს აწერს ხელს, რომლებიც წინასწარ ცნობილია, რომ არ შესრულდება და რომლებიც შესრულების შემთხვევაშიც არავითარ რეალურ შედეგს არ მოიტანს. ასეთივე უიმედო პოლიტიკა ტარდება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ერთგვარი წარმატება ხელისუფლებას გადასახადების აკრეფაში აქვს, ისიც კერძო სექტორში, რითაც ხელისუფლების გაზრდილი აპარატის შენახვა თუ შეიძლება. განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის მდგომარეობა როგორია და საით მიდის მისი საქმე, ამას ყველა კარგად ხედავს. ასეთსა და მრავალ მსგავს დებულებას გამოთქვამენ ჩვენი რესპონდენტები.

შექმნილი ვითარება ერთხელ კიდევ ადასტურებს დებულებას, რომ ხალხმა თუ არ იცის ის ამოცანები და მიზნები, რომლის წინაშე მისი ქვეყანა დგას და არ ეთანხმება იმას, რასაც მისი ხელისუფლება ახორციელებს, იგი ვერ ჩაერთვება ქვეყნის მშენებლობაში, ვერ მოახდენს თავისი ქვეყნის ეკონომიკურ და სულიერ განვითარებას. ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ხელისუფლებისა და ხალხის ურთიერთგაგება და თანამშრომლობა წარმოადგენს.

ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს ორი დასკვნა: I. ქართველი ხალხი არ განიცდის, რომ მისი ქვეყანა დამოუკიდებელი და თავისუფალია. ამიტომ თავის სულიერ და ფიზიკურ ენერგიას ვერ წარმართავს თავისი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აყვავებისაკენ. ასეთსავე მდგომარეობაშია ჩვენი ხელისუფლება, მისი საქმიანობა თავისუფალი ქვეყნის მშენებლობისაკენ არ არის მიმართული. იგი, სხვადასხვა სახის პოლიტიკურ აქციას და ლავირებას მიმართავს, რათა შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა და ქვეყნის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა. ძნელია იმისი მტკიცება, რომ ჩვენი ხელისუფლება მიზანდასახულად და ფარულად ემსახურება რუსეთის ინტერესებს ამიერკავკასიაში. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მას ძალა არ შესწევს წინ აღუდგეს რუსეთის პრესს, თავისი არამყარი ეროვნული ორიენტაციის გამო არ შეუძლია დამოუკიდებელი, კულტურული და ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. II. ხელისუფლებამ ხალხისთვის ნათელი უნდა გახადოს, თუ რა პოლიტიკას ეწევა იგი, ხალხი უნდა მიიმხროს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაიწყოს ქვეყანამ დამოუკიდებელი და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა. ასეთ ვითარებაში ხდება ხალხის ფიზიკური და სულიერი ძალების მაქსიმალური გამოვლენა, ქვეყნის ეკონომიკის და კულტურის განვითარებაში სასწაულების ჩვენება.

**შოთა ნადირაშვილი**

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №81.

## სამივე კმაყოფილია, აბა ვინ არის უკმაყოფილო?

„იფრინდა"-ს კორესპონდენტის ცნობით, განცხადებაზე ხელმოწერის შემდეგ ე.შევარდნაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი და არძინბას ამჟამინდელი შეხვედრა დიდი პოლიტიკური მოვლენაა, რომლის მთავარი შედეგია ურთულესი ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა. მეორე მნიშვნელოვან შედეგად პრეზიდენტი გუშინ ხელმოწერილ განცხადებას მიიჩნევს. „მე ვთვლი, რომ ეს დოკუმენტი საეტაპო მნიშვნელობისაა ჩვენს ურთიერთობებში. მიღწეულ შედეგებში უდიდესი როლი ითამაშეს ე.პრიმაკოვმა და ბ.ელცინმა" - განაცხადა ე.შევარდნაძემ. მისი თქმით, შეხვედრამ ჩაიარა პრინციპულობისა და გულახდილობის სულისკვეთების. „გადადგმულია ნაბიჯი იმ ნდობის მისაღწევად, რის გარეშეც შეუძლებელია კონფლიქტის გადაწყვეტის მიღწევა" - დასძინა მან.

ვლ.არძინბა, ისევე, როგორც ე.შევარდნაძე, თვლის, რომ ეს შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანია ქართულ-აფხაზური პრობლემის დარეგულირების ნაყოფიერი განხილვებით. მისი თქმით, მოლაპარაკებამ კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა. აფხაზთა ლიდერმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ე.შევარდნაძესთან დიდი ხნით საუბარს. „ეს მნიშვნელოვანია ჩვენ ხალხებს შორის ურთიერთნდობის დასამყარებლად. მტკიცედ გვჯერა, რომ გამოვნახავთ ყველა პრობლემის გადაჭრის გზებს. ჩვენს მიერ ხელმოწერილ განცხადებაში, ჩვენს თავზე ვიღებს მტკიცე გარანტიებს, მოლაპარაკების მაგიდასთან კონფლიქტის გადასაწყვეტად" - განაცხადა მან.

ევგენი პრიმაკოვის განცხადებით, რუსეთი დაინტერესებულია სტაბილურობით და კონფლიქტის დარეგულირების ფორმულის მიგნებით. „ჩემი მონაწილეობა ამ საქმეში სანქცირებული იყო ბ.ელცინის მიერ. მე ვთვლი, რომ შეხვედრა სასარგებლო იყო. ე.შევარდნაძემ და ვლ.არძინბამ პირველად მოაწერეს დოკუმენტს ხელი, რომლის მიხედვითაც, მხარეები თავის თავზე იღებენ ვალდებულებას, ყველა პრობლემა გადაჭრან მშვიდობიანი გზით, რუსეთის შუამავლობით, გაეროსა და ეუთო-ს ეგიდით". (იფრინდა)

## «ურთიერთგაგების, კომპრომისებისა და დაახლოების გზები ყოველთვის ჭეშმარიტებაზე უნდა გადიოდეს»

5 აგვისტოს ქართველ ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში, სადაც ვლ.არძინბა 1989 წლის აღწერის მიხედვით ქართველთა დაფიქსირებულ რაოდენობას - 242 ათასს ყალბად მიიჩნევს და აცხადებს, რომ საქართველოს სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, პირველადი აღწერის შედეგად, ნაცვლად აღნიშნული ციფრისა 212 ათასი ქართველი იყო. დეპარტამენტი დღეს ოფიციალურად აცხადებს, რომ მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე აღწერილი იყო 239872 ქართველი და 93267 აფხაზი. ამავე წლის, წინასწარი მონაცემებითაც კი, აფხაზეთში ქართველების რაოდენობა ნამდვილად ვერ იქნებოდა 212 ათასი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერ კიდევ 1979 წელს ჩატარებული აღწერისას, ქართველთა რაოდენობა 213322 შეადგენდა.

სტატისტიკის დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ურთიერთგაგების, კომპრომისებისა და დაახლოების გზები ყოველთვის ჭეშმარიტებაზე უნდა გადიოდეს. (იფრინდა)

## ომის დაწყების დღეს...

„14 აგვისტოს - ომის დაწყების დღეს, როდესაც ჩვენი მოქალაქეები დაღუპულთა საფლავებზე წავიდნენ, ჩვენ შევძელით გადაგველახა სტერეოტიპები და ჩამოვსულიყავით თბილისში - განუცხადა „იფრინდა"-ს კორესპონდენტს ვლ.არძინბას ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა ს.შამბამ. იგი დარწმუნებულია, რომ ეს დღე სიმბოლო იქნება არა მარტო როგორც ომის დაწყების, არამედ, როგორც დღე ახალი ურთიერთობების დაწყებისა. ს.შამბას მიაჩნია, რომ უმთავრესი ფაქტორი არის კონფლიქტზე უარის თქმა. მისივე თქმით, შეხვედრებმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ამიერიდან ისინი რეგულარულ ხასიათს მიიღებს და ჩატარდება არა ჟენევასა და მოსკოვში, არამედ თბილისში, სოხუმში, ბიჭვინთასა და გაგრაში. (იფრინდა)

## არძინბამ და პრიმაკოვმა თბილისი დატოვეს

გუშინ, თბილისის აეროპორტიდან არძინბა და პრიმაკოვი გაემგზავრენ გუდაუთაში, საიდანაც საგარეო საქმეთა მინისტრი გაემგზავრება ადლერში და შემდეგ გადაფრინდება მოსკოვში, - უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში, ვაჟა ლორთქიფანიძემ. (პრაიმ-ნიუსი)

## ჯაბა იოსელიანის სასამართლო პროცესი გაურკვეველი ვადით გადაიდო

„იფრინდა"-სათვის უზენაესი სასამართლოს ინფორმირებული წყაროდან ცნობილი გახდა, რომ შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონი"-ს ლიდერის ჯაბა იოსელიანის სასამართლო პროცესი გაურკვეველი ვადით გადაიდო. პროცესის გადადება წყარომ იმით ახსნა, რომ უზენაესი სასამართლო აგრძელებს პროკურატურიდან გადაგზავნილი 48 ტომიანი მასალების გაცნობას.

როგორც ცნობილია, ჯაბა იოსელიანი აგრძელებს შიმშილობას მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნით, რადგან იგი თვლის, რომ მისი დაპატიმრება არაკანონიერად მოხდა.

„იფრინდა"-სათვის ასევე ცნობილი გახდა, ომ ჯაბა იოსელიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. (იფრინდა)

# ლ. მატარაძის კომენტარები პროტოკოლის ტექსტზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ

მეხუთე გვერდიდან

ტიკური და სამხედრო მრჩევლების დეპორტაციაზეა საუბარი. მათზე, ვინც აფხაზეთში 1992 წლის შემდეგ გამოჩნდა, რათა შეცვლილიყო რეგიონის დემოგრაფიული სურათი. ამასთან ერთად აფხაზეთის მხარის ვალდებულება დაყვანილია ძნელად მოსააზრებელ ფორმულირებამდე: „არ დაუშვან გარედან სამხედრო ფორმირებები" (სტილი დაცულია. ლ.მ.). ამასთან ერთად საქართველოს ვალდებულებები ფორმულირებულია უფრო მკაცრად და ხაზგასმულად: „მიიღოს ეფექტური ზომები, რათა არ დაუშვას აფხაზეთში ტერორისტული და დივერსიული ჯგუფური, შეიარაღებული ფორმირებები და პიროვნებები".

საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც ძირეულად აკონტროლებს ქვეყანაში არსებულ ვითარებას, არაერთხელ განაცხადა, რომ არანაირი შეხება არა აქვს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ „თეთრ ლეგიონთან". მეორე მხრივ, სრულიად გასაგებია, რომ მას არ შეუძლია ალკვეთოს პარტიზანული მოძრაობა, რომელიც კონფლიქტის მოუგვარებლობის და დროის გაწელვის პირობებში შეიძენს დიდ ძალას. ასევე ყველასთვის ცნობილი ადამიანის უფლებების და თავისუფლებების მიხედვით, ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობას არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს ინდივიდუმს იბრძოლოს მოხალისედ ბარიკადების ამა თუ იმ მხარეს.

რაც შეეხება სამშვიდობო ძალებს, მათი აფხაზეთში ყოფნა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ორი პირობით:

1) მონოეთნიკური ძალებიდან ეს ძალები უნდა იქცნენ პოლიეთნიკურად.

2) შეიცვალოს მანდატი. მიეცეს სამშვიდობო ძალებს უფლება, გამოიყენონ ძალისმიერი კოლექტიური მეთოდები, გაეროს წესდების საფუძველზე, რომლის მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდასაჭერად.

6. „მხარეები მიმართავენ თხოვნით რუსეთის ფედერაციას, რათა ლტოლვილთა ორგანიზებულ დაბრუნებასთან დაკავშირებით დამყარდეს ნორმალური სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმი, აღმოჩენილ იქნას დახმარება სარკინიგზო, საჰაერო და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ორგანიზებაში და ენერგოსისტემისა და კავშირგაბმულობის მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში".

ამ პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის სატრანსპორტო კავშირის აღდგენა – და არა „ორგანიზაცია" – მხოლოდ ლტოლვილების დაბრუნების დასახმარებლად კეთილშობილური მიზნებითაა განპირობებული. კაცი იფიქრებს, რომ რუსეთის ფედერაცია, რომელიც ყოველწლიურად კარგავს ათობით მილიონ რუბლს მხოლოდ სარკინიგზო კავშირის არარსებობის გამო აფხაზეთის ტერიტორიაზე, მცირედაა დაინტერესებული ამ საკომუნიკაციო ტრასის აღდგენაში. სინამდვილეში კი მისი ინტერესი, რომ დადებითად გადაწყდეს ეს საკითხი, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ხასიათისაა. სარკინიგზო და საავტომობილო კავშირის სრულყოფილი, აღდგენა უფრო მჭიდრო ურთიერთობას გულისხმობს სომხეთთან – რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორთან ამიერკავკასიაში. ამავე დროს ზედმეტია იმაზე მსჯელობა, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით პროტოკოლის 6 პუნქტი ძირეულ გადახედვას საჭიროებს. მისი მომავალი ფორმულირება მთლიანობაში უზოგადესი სახით უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ვალდებულებებს, შესაძლო ფინანსირების ყველა წყაროს, სამუშაოთა ორგანიზების მექანიზმს და მათი შესრულების ვადებს.

„ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისათვის დაბრკოლებათა წარმოშობის შემთხვევაში ამ დაბრკოლებათა მოცილების საკითხი დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხილული მხარეების მიერ, გაეროს, ეუთოს, ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით".

– ეს ჩვენ უკვე გავიარეთ. განსახილველ პროტოკოლში ამ საკითხის ჩართვა, მას შემდეგ, რაც იგი უკვე იყო ზემოთ აღნიშნულ ოთხმხრივ შეთანხმებაში 1994 წლის 4 აპრილს, რაც ითვალისწინებდა ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზებულ დაბრუნებას თავის საცხოვრებელ ადგილებში, ნათელს ხდის ამ პუნქტით შემოთავაზებული პროცედურის ნულოვან ეფექტს.

ღირს კი იგივე შეცდომის დაშვება? ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება უნდა უზრუნველყოს კოლექტიურმა სამშვიდობო ძალებმა, უფრო „დიდი ფორმატის" ძალებმა, ვიდრე დღეს გვაქვს.

7. „წინამდებარე პროტოკოლის ხელმოწერის შემდეგ გაგრძელდება მუშაობა ხელშეკრულებაზე, რომელიც დაარეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობებს.

ხელშეკრულების აღსრულება უნდა იყოს საიმედოდ გარანტირებული. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში დგება მისი გაუქმების საკითხი, რისი საფუძველიცა და წესიც განსაზღვრული იქნება ხელშეკრულებით".

– პროტოკოლის შემქმნელებმა მშვენივრად აიცილეს თავიდან ხელშეკრულების ბუნების საკითხი: ეს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტია თუ საერთაშორისო? და სასწრაფოდ გაამახვილეს ყურადღება ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობაზე. აქ მართლაც რომ გაოგნება გვმართებს! მაგრამ ამ პუნქტის უფრო ღრმად ჩაწვდომა შესაძლებლობას გვაძლევს გავერკვეთ მისი შემქმნელების საბოლოო მიზანში. ეს მიზანი კი ასეთია: გარანტირებული ჰქონდეს თვითგამოცხადებულ აფხაზეთის რესპუბლიკას საქართველოსთან კავშირიდან თავისუფალი გამოსვლა. ეს კიდევ ერთი მტკიცებაა იმისა, რომ კავშირი გაიაზრება როგორც კონფედერაცია და არა ფედერაცია. კლასიკურ ფედერაციებში, მასში შემავალი სახელმწიფო გაერთიანებები სეცესიის უფლებით არ არიან აღჭურვილნი. ე.ი. ფედერაციიდან თავისუფლად გამოსვლის უფლება არა აქვთ.

8. „მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ რუსეთის ფედერაციის მზადყოფნას, იყოს შეთანხმებათა გარანტი",

რამდენჯერაც რუსეთის ფედერაციამ საზეიმოდ აიღო ვალდებულება, რომ ხელშეკრულებები საქართველოსა და აფხაზეთს შორის განუხრელად შესრულდებოდა, იმდენჯერ ჩვენი იმედი საპნის ბუშტივით გასკდა. ბოლოს და ბოლოს მწარე გამოცდილების შედეგად ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ერთადერთ გარანტად ნებისმიერი ხელშეკრულების დადების დროს საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გზაზე შეიძლება იყოს გაერო, ეუთო და „გაზრდილი მასშტაბის" სამშვიდობო ძალები, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების კონტინგენტის ჩათვლით.

საერთო დასკვნა: ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ პროტოკოლი, რომელიც დაამუშავა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, უხეშად არღვევს და იგნორირებას უკეთებს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. იგი ამავე დროს, პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ 18 რეზოლუციას, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო ამ საკითხის შესახებ. ამიტომ მტკიცება, რომ ამ პროტოკოლში ფორმულირებების დაზუსტებაა მხოლოდ საჭირო, საღ აზრს ეწინააღმდეგება. შექმნილ ვითარებაში გამოსავალი შეიძლება მოინახოს იმის ანალოგიური მოდელის შექმნის გზაზე, რა ურთიერთობებიც არსებობს რუსეთის ფედერაციის ცენტრსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის (პრეზიდენტ ელცინის წინადადება*).

**ლევან მატარაძე**

** რედაქციისაგან. რუსეთის ფედერაციის სუბიექტთა მიმართების პრინციპულ განსხვავებას აფხაზეთის ვითარებისგან ჩვენ იმაში ვხედავთ, რომ არც ერთი იმ სუბიექტთაგანი არ წარმოადგენს ეთნიკურ რუსეთს, ის სულ დაპყრობილი ტერიტორიებია, აფხაზეთში კი ქართველობა ავტოხთონური ერია.*

# ეპილოგის მაგიერ

ყველაზე უარესი მაინც ხალხის ძალიან დიდი მასის *სიბნელეა.* ჰგონიათ, რომ, თუ რუსეთმა არძინბაზე რაღაც ზეწოლა მოახდინა და პოზიცია ოდნავ მაინც შეარბილებინა, ეს იმის ნიშანია, რომ „აფხაზეთის გასაღები მოსკოვში დევს". ტყუილია! მოსკოვის პოზიციის შეცვლა (თუკი მართლაც შეიცვალა, რაც საეჭვოა) მხოლოდ იმით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ იგი დასავლეთის გავლენას დაექვემდებარა, რომელიც სრულებითაც არაა მონატრებული, 150 კილომეტრი სანაპირო – ეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული სივრცე შავ ზღვაზე – რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფ არძინბას ჯგუფს და, მაშასადამე, რუსეთს დაუთმოს. დასავლეთის პოლიტიკის ინტერესმა უკვე თან მოიტანა ამ ნაბიჯის – რუსეთისათვის არძინბას ღია მოკავშირეობის დათმობინების – საჭიროება და მან იგი გადადგა კიდეც. შევარდნაძის დამსახურება აქ არ ურევია. აფხაზეთის რუსეთისათვის არდათმობა დასავლეთის საკუთარი ინტერესია და თავისი ამ ინტერესის შესაცნობად იგი კონსულტაციას არ საჭიროებს.

შევარდნაძის როლი ამ საკითხში – ისევე როგორც საქართველოსთან დაკავშირებულ სხვა გეოსტრატეგიულ საკითხებშიც – სხვაა. დემოკრატიული მსოფლიოს ნება მისთვის ისევე იმპერატიულია დღეს, როგორც თვით ელცინისთვის. მაგრამ ეს ნება, მკაფიოდ და აშკარად გამოთქმული, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენთვის საარსებო საკითხების მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტს ეხება. ყველა სხვა საკითხში შევარდნაძე, როგორც რუსეთის ყოფილი ფუნქციონერი და ამჟამინდელი მარიონეტი, რუსეთის ნებას ასრულებს. ასე რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა აფხაზეთის ომი და თუ იქნებოდა, არ იქნებოდა ის გამანადგურებელი დამარცხება, რაც ომის ამ ეტაპზე განვიცადეთ. არ იქნებოდა მოღალატური კაპიტულაციის მცდელობა ცხინვალის სეპარატისტებთან და ეუთოს მისიასთან, არ იქნებოდა კუპონის კრახი, 1600 მილიონი დოლარი საგარეო ვალი, ხელოვნური შიმშილი, წარმოების ჩახშობა და „მხედრიონის" სამწლიანი ბატონობა საქართველოში.

დღეს რუსეთი წამსვლელია ამიერკავკასიიდან და ჩრდილო კავკასიის სამხრეთი ზონიდან (რადგან ასე უნდა დემოკრატიულ მსოფლიოს და მის მიერ აღიარებულ ეროვნული თავისუფლების პრინციპს). მაგრამ შევარდნაძე ცდილობს, ამ წასვლის პირობებში და მის ფონზე რუსეთს მაინც მისი პოზიციების შესაძლებელი მაქსიმუმი შეუნარჩუნოს: სამხედრო ბაზები, გავლენა, პრესტიჟი, ეკონომიკური პოზიციები, აგენტურა, პროპაგანდის არხები და სხვა. რას მოიტანს ეს კონკრეტული მოლაპარაკება 14–15 აგვისტოს თბილისში, არ ვიცით. თუ იგი შედეგს მოიტანს და, მაშასადამე, რადიკალურად იქნება განსხვავებული იმისგან, რაც დაგეგმეს „პროტოკოლის" ავტორებმა, ჩვენ მის ჩამტარებელს მივესალმებით. მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით იმას, რომ ხალხის ფართო მასა ილუზიაში იყოს და არ ჰქონდეს რეალური წარმოდგენა იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც პროცესების მიმდინარეობას განაპირობებენ.

ერთი კი ნამდვილად ვიცით. ისტორიისა და, კერძოდ, ომის ბედის გადამწყვეტი არის ე.წ. მასობრივი ადამიანი – საშუალო მოქალაქე, რომელიც შრომობს, იბრძვის, გამოჩენილ ფიგურათა შეფასებას ახდენს და საზოგადოების (მათ შორის – ერის) ისტორიულ მეხსიერებას ქმნის. ამ ადამიანს სამოქმედოდ სჭირდება *ენერგია*, ენერგიას სჭირდება *ზნეობრივი მუხტი*, ხოლო ზნეობრივ მუხტს – *საკუთარი სიმართლის და საკუთარი ადამიანური ღირსების რწმენა.* მმართველი, რომელიც დამნაშავეს აპატიებს თავისი თუნდაც ერთი ქვეშევრდომის მოკვლას ან გაუპატიურებას, მმართველი არ არის. იგი საზოგადოების (მათ შორის – ერის) სულიერი სიჯანსაღის ძირის გამომთხრელია, მაშასადამე, ყველაზე უარესი დივერსიის ჩამდენია დივერსიის ყველა შესაძლო სახეობათა შორის.

მე ძალიან კარგად მახსოვს შევარდნაძის ოფიციალური განცხადებები 1993 წელს, რომ გენოციდს 30 ათასი მშვიდობიანი მოსახლე ქართველის სიცოცხლე შეეწირა (იმ 11,5 ათასზე, რაც ბრძოლაში დაიღუპა, აქ ლაპარაკი არაა). შემდეგში რუსეთისა და მისი ხელქვეითი აფსუა სეპარატისტების დანაშაულის მიჩქმალვის მომხრეებმა პატარა „წაუხალტურეს" და ეს რიცხვი 6 ათასამდე დაიყვანეს. გუშინ ტელევიზიაში ყრუდ გაისმა ახალი რიცხვი – 3 ათასი, მიუხედავად იმისა, რომ, თ.ნადარეიშვილის ცნობით, მხოლოდ რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩადგომის შემდეგ აფხაზეთში კიდევ 1200 მშვიდობიანი ქართველი იქნა მოკლული. ადამიანის სიცოცხლე ხურდა ფულად არის ქცეული და ეს ხურდა ისე გაუფასურებულია, რომ უიაფეს გარიგებებში ასობით კი არა, უკვე ათასობით ითვლება!

**ნოდარ ნათაძე**

## „თუ საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ სიტყვის თავისუფლება, აშშ-ს მხრიდან მეტი ფინანსური დახმარება იქნება"

საქართველოში მყოფმა აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლობითმა დელეგაციამ, წარმომადგენელთა პალატის წევრის სონი კალაჰანის ხელმძღვანელობით, გუშინ აშშ-ს საელჩოში პრეს-კონფერენცია გამართა.

დელეგაციის ვიზიტის მიზანია უცხოეთის დახმარების პროგრამების ეფექტურობის შეფასება და ამასთან დაკავშირებით უსაფრთხოების საკითხის განხილვა. დელეგაციის წევრები წარმომადგენლობითი პალატის ასიგნებათა კომიტეტის, ენერგეტიკისა და წყლის, ასევე ტრანსპორტის ქვეკომიტეტების წევრები არიან.

როგორც პრეს-კონფერენციაზე დელეგაციის ხელმძღვანელმა სონი კალაჰანმა განაცხადა, მომავალი დახმარება საქართველოში მიღწეულ წარმატებებზე და პროგრესზეა დამოკიდებული. „თუ რეფორმები ისეთივე წარმატებით განვითარდა, როგორითაც ეს აქამდე მოხდა, თუ არ იქნება კორუფცია და საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ სიტყვის თავისუფლება და საერთოდ, თავისუფლება, აშშ-ს მთავრობის მხრიდან უფრო მეტი ფინანსური დახმარება იქნება" – განაცხადა მან. ფონდების გამოყოფის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს, თუ როგორ განაწილდება იგი.

დელეგაცია გუშინ გაემგზავრა სამშობლოში. (იფრინდა)

## მავთულით გამდიდრების მადა...

14 აგვისტოს ღამის საათებში, ზესტაფონის მოსახლეობის მიერ გაძარცვის მიზნით მოჭრილი იქნა 500 კილოვოლტიანი მშენებარე ხაზის სადენები, რომელიც მოქმედ სატრანზიტო მაღალი ძაბვის ხაზს დაეცა და დააზიანა იგი. ამის შესახებ „იფრინდა"-სათვის „საქენერგო"-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოდან გახდა ცნობილი.

მომხდარმა ფაქტმა იმავე დღეს გამოიწვია ავარიული რეჟიმის შექმნა, მოსახლეობისა და რიგი სამრეწველო ობიექტების შეზღუდვები.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ხშირია ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში, რაც იწვევს ენერგოსისტემის სქემის შესუსტებას, რაიონებისა და მოსახლეობისათვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ელ.ენერგიის მიწოდების შეწყვეტას. ამასთან, დაზიანებული ობიექტების აღსადგენად საჭიროა დამატებითი ხარჯები, რაც სავალალოდ მოქმედებს ენერგოსისტემაზე.

კუთხოვანი ლითონებისა და სადენების ძარცვა ენერგოსისტემას ზამთრის პერიოდისათვის მზადებაში უშლის ხელს. რიგ რაიონებში არსებობს ფერადი ლითონების ჩამბარებელი პუნქტები, სადაც სავარაუდოა, რომ მოსახლეობა აბარებს მოპარულ სადენებსა და კუთხოვან ლითონებს. აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ზომების მიღება შესაბამისი ორგანოების მიერ, რათა გამოვლინდეს და დაისაჯოს დამნაშავე.

„საქენერგო" აცხადებს, თუ მომავალშიც გაგრძელდა რეგიონებში სადენებისა და კუთხოვანი ლითონების ძარცვა, იგი მთლიანად მოიხსნის პასუხისმგებლობას ამ რაიონებისთვის ელექტროენერგიის მიწოდებაზე. (იფრინდა)

# ლატარეა ყველასათვის

### 15 აგვისტოს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი - 251309; | 80 ლარი - *99470; |
| 1000 ლარი - 355837; | 80 ლარი - *18436; |
| 900 ლარი - 170999; | 70 ლარი - *62632; |
| 800 ლარი - 436565; | 70 ლარი - *13481; |
| 700 ლარი - 525091; | 60 ლარი - *12302; |
| 600 ლარი - 336878; | 60 ლარი - *66185; |
| 500 ლარი - 173456; | 50 ლარი - *71454; |
| 500 ლარი - 362947; | 50 ლარი - *15361; |
| 400 ლარი - 552885; | 40 ლარი - *53523; |
| 400 ლარი - 511541; | 40 ლარი - *99054; |
| 300 ლარი - 159743; | 30 ლარი - *13686; |
| 300 ლარი - 331945; | 30 ლარი - *73876; |
| 200 ლარი - 591169; | 25 ლარი - **9747; |
| 200 ლარი - 268252; | 20 ლარი - **4502; |
| 100 ლარი - 397102; | 10 ლარი - ***491; |
| 100 ლარი - 240014; | 10 ლარი - ***996; |
| 100 ლარი - 359865; | 10 ლარი - ***303; |
| 100 ლარი - 317612; | 1 ლარი - ***309; |
| 100 ლარი - 571898; | 1 ლარი - ***999; |
| 90 ლარი - *42070; | 1 ლარი - ***837; |
| 90 ლარი - *35012; | 1 ბილეთი - *****4. |

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

1997 წლის XXXII ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **1212; 9282;** გათამაშებაზე შეუძლიათ 22 აგვისტოს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"

# ამ ჭიქით შვილიშვილებს გაუმარჯოს!

## ფილიპ ბობკოვი

### უკანასკნელი შეხვედრა პრეზიდენტთან

1991 წლის 9 იანვარს მე უკანასკნელად მივედი ჩემს სამუშაო კაბინეტში, ძერჟინსკის (ამჟამად - ლუბიანკა) ქუჩა, №4, III სართული. ფანჯრიდან მოჩანს „ბავშვთა სამყაროს" შენობა. ვეებერთელა ვიტრინებს იქით მოჩანს, თუ როგორ დადის ხალხი ერთი სართულიდან მეორეზე, დახლიდან დახლზე. ისინი რაღაცას ათვალიერებენ, რაღაცას ეძებენ. თითქოს იქ სხვა ცხოვრებაა. ჩემი ცხოვრება კი მე ამ ადამიანებს მივუძღვენი, მე ვალდებული ვიყავი მათ სიმშვიდეზე მეზრუნა. ადამიანებს არ უნდათ ომი, არც ცივი და არც ცხელი. მათ უნდათ, რომ მათი შვილები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ.

დადგა შედეგების შეჯამების დრო. „ცივი ომი" დამთავრდა, როგორც ამას ქვეყნის ლიდერები იძახიან. კი მაგრამ, რატომ არ არის მშვიდობა? რატომ არ ზეიმობს ქვეყანა? ალბათ, ხალხი გრძნობს, რომ ჩვენ დავმარცხდით ჩვენი ლიდერების უსუსური მოქმედებების წყალობით. დიადი ქვეყანა ჯერ კიდევ არსებობს, ჯერ კიდევ მძიმედ, მაგრამ მაინც სუნთქავს... დაშლამდე წელიწადზე მეტია დარჩენილი. მაგრამ აგონია უკვე იგრძნობა.

მე ვდგავარ ფანჯარასთან და ვიხსენებ სსრკ პრეზიდენტთან საუბარს, რომელიც ნახევარი საათის წინ მქონდა მის კაბინეტში. ეს იყო ჩემი უკანასკნელი საუბარი სსრკ სუკ-ის თავმჯდომარის პირველი მოადგილის რანგში. პრეზიდენტის მაგიდაზე მხოლოდ ერთადერთი ფურცელი იდო, რომელიც ჩემს განთავისუფლებას შეეხებოდა სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით სსრკ თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექტორთა ჯგუფში. ახლა პრეზიდენტი მას ხელს მოაწერს.

მაგიდასთან სამნი ვსხედვართ გორბაჩოვი, კრუჩკოვი და მე. ჩვენ ვსაუბრობთ აი უკვე თითქმის ორმოცი წუთის განმავლობაში. მე მადლობა ვუთხარი გორბაჩოვს ნდობისათვის. მე ყოველთვის არ ვამბობდი იმას, რისი გაგონებაც უნდოდათ ხოლმე ჩემგან უფროსებს. აი, ახლაც, არ შემიძლია ისე წავიდე, რომ ბოლომდე არ ვთქვა სათქმელი. არ დამიმალავს, რომ გორბაჩოვის ავტორიტეტი საზოგადოებაში საგრძნობლად დაეცა, რომ მას უნდობლად ეკიდებიან, როგორც კომუნისტები, ისე დემოკრატები. ცენტრის მერყეობა შეიძლება ძვირად დაუჯდეს ქვეყანას. დიდი სისხლია მოსალოდნელი.

გორბაჩოვი ყურადღებით მისმენდა და თითქოს მადლიერიც იყო ასეთი გულახდილი საუბრისათვის.

მე მხოლოდ ფაქტებისა და მათი შესაძლო განვითარების შესახებ ველაპარაკებოდი. ეროვნებათაშორისი კონფლიქტები უკვე საკმაოდ იყო გაღვივებული. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები აშკარად არ ცნობდნენ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას. სულ ახლახანს მოხდა ვილნიუსის მოვლენებიც. ჩვენს თაობას ალბათ არ უწერია ამ მოვლენების აზრის გაგება.

გორბაჩოვს ჩემთვის არ გაუწყვეტინებია ლაპარაკი. მან მოისმინა ფერგანის, სუმგაითის, თბილისის, ბაქოს და სხვა „ცხელი წერტილების" მოვლენათა ჩემეული ანალიზი და კრუჩკოვს მიუბრუნდა:

– ჩვენ იგი ძალზე გავაწვალეთ – შემდეგ მეც „მომისამძიმრა".

– რამდენი რამე გადაიტანე? მართლაც ძალიან გაგაწვალეთ.

მადლობა მომახსენა სამსახურისათვის და სასიამოვნო სიტყვებით მომიმადლიერა:

– შენი პატიოსანი ცხოვრება ეჭვს არ იწვევს, ნუ ღელავთ, ჩვენ არ დაგზოგეთ, – გაიმეორა მან, – სად აღარ გაგზავნიდით.

მცირე ხნის პაუზის შემდეგ დაამატა:

– შვილიშვილები მელოდება.

მე გავშეშდი. გამოდის, რომ ჩემი შეფასება მისთვის მისაღებია და მომავლის შეფასებაშიც მეთანხმება. ე.ი. იცოდა, საით მიჰყავდა ქვეყანა. საუბარი დამთავრდა. ჩვენ გარეთ გამოვედით. დავემშვიდობე გორბაჩოვს. შემდეგ კრუჩკოვის კაბინეტში შევედით. მან არაყი დადგა მაგიდაზე. დაასხა და სადღეგრძელო წარმოთქვა:

– ამ ჭიქით შვილიშვილებს გაუმარჯოს!

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №48-81.

# კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ინგლისელი ფიზიკოსი; 7. იმპრესიონისტი მხატვარი; 8. ძვირფასი ქვა; 9. აღორძინების ხანის ფერმწერი; 12. მდინარე საქართველოში; 14. XX ს. ფრანგი მწერალი; 16. ნახევარკუნძული ამერიკის კონტინენტზე; 18. ხელოვნების ერთ-ერთი დარგის ნაწარმოები; 19. ქართველი მწერალი; 20. მეფედ კურთხევა; 21. ლინგვისტური ტერმინი; 22. სიტყვათა წარმოთქმის მანერა; 24. სიგრძის საზომი ერთეული; 26. ლიტერატურული ჟანრი; 30. თევზის სახეობა; 31. ფრანგული კონცერნი; 32. არქიტექტურული ნაგებობა; 33. გულშემატკივრები ბრაზილიაში.

**შვეულად:** 1. სულიერი მღელვარება; 2. სალექსო ფორმა; 3. ა.პუშკინის მოთხრობა „გასროლის" პერსონაჟი; 4. მწვანილი; 6. სამხრეთის ქვეყნებში გავრცელებული მცენარე; 10. მრავალხმიანობა; 11. საზოგადოებრივი წყობილების წარმოებითი ურთიერთობა; 13. ემილ ზოლას რომანი; 14. სამართლებრივი ტერმინი; 15. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში; 17. მოწოდება; 23. მიწათმოქმედების და ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 25. უკუგანვითარება; 27. აღმოსავლური ლექსის სახეობა; 28. რთული ოპერაციების შემსრულებელი ავტომატი; 29. გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსი.



## წინა ნომრის პასუხები

**მხოხავ დაზვერვაზე:** 1. პროლეტარი; 4. აგრაფინა; 10. დოლი; 11. პარტახი; 12. ფანტასტიკა; 14. არქიმედი; 16. ოუდა; 17. ბილარდო; 18. ქარტეხილი; 20. ჩხირი; 21. ბიუროკრატი; 22. ამარეტო; 25. ნაობახტი; 27. მორზე; 28. მარტი; 31. მუშკეტი; 32. რეტრო; 33. ხე; 34. ჭიკარტი; 35. მანიფესტი; 36. ვაი.

**სარბადაყლაპული:** 1. პაპანაქება; 2. ლიტერატურა; 3. ტახტი; 5. გუტალინი; 6. არსენალი; 7. ადამი; 8. გლანდი; 9. ბაეუ; 13. იპოდრომი; 15. მაიორი; 19. პროპელერი; 20. ჩიკოტელა; 23. შატილი; 24. ვაშლი; 26. ტურნე; 27. მორფი; 29. ტურა; 30. ფუთი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444